

180  
1959

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ხელოვნება



180

921

9


1959



# საბჭოთა ხელოვნება

საპარტველოს სსრ კულტურის სამინისტროს ორგანო

1976



9



სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საპარტველო“

თ ბ ი ლ ი ს ი

1959



**მ. გორკის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო  
დიდი თეატრის გასტროლები თბილისში**

სურათებზე: მარცხნივ — თბილისის თეატრალური საზოგადოებრიობის სახელით სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართავს საქ. სსრ სახალხო არტისტი დიმიტრი ალექსიძე (ზევით);

რსდსრ დამსახ. არტისტი ი. სმოკტუნოვსკი თავად მიშინის როლში — სპექტაკლი „ილიოტი“ (ქვევით).

მარჯვნივ — თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენა და დარბაზი მ. გორკის სახ. თეატრის გასტროლების გახსნის დღეს.

**რედაქტორი — ოთარ ევაძე**

**სარედაქციო კოლეგია:** შალვა ამირანაშვილი  
ვახტანგ ბერიძე, კარლო გოგოძე, აკაკი დვალიშვილი,  
ლადო დონაძე, სერგო ზაქარიაძე, დიმიტრი  
ჯანელიძე, ვანო წულუკიძე (პ/მგ. მღვიანი).







ი. სმოკტუნოვსკი მიშინის როლში და ჩსლს რ. დანსა. არტისტი  
გ. ტალანოვა ივლიას როლში („ილიოტი“)

ხინჯა და ხანშიშესულ ეზოებს იმდენად, რომ მზად არის გააყვეს მას. ეზოებსა და ლეას შორის უნდა დაიბადოს გრძნობა ისეთი სიყვარულისა, რომელიც ამ ქალს აღუძრავს სურვილს მიატოვოს ოჯახი, სახელგანთქმული მიუღლე და თან გააყვეს მონას.

თუ ეს არ მოხდა, თუ მაყურებელმა არ იგრძნო და არ ირწმუნა ამ გრძნობის ჭეშმარიტება, მაშინ წარმოდგენიდან იკარგება მაყურებლისათვის ყველაზე საინტერესო, ის, რის საყურებლადაც მოდის თეატრში, — ცოცხალი გრძნობა, რჩება ეზოებს თავისთავად საინტერესო არაკები, როგორც მისი სიბრძნის ნაყოფი. იქნებმა შთაბეჭდილება, რომ ეზოებს ცხოვრებაში მომადარი ყველა შემთხვევისათ-

ვის უკვე გამზადებული აქვს შესაფერისი არაკი. ზივისს მოხედით კი, ბირიქით, ყოველი მისი იჯავი იბადებუა ეჭველას საპასუხოდ, როგორც ცოცხალი, ეზობესათვის: უფროა ბუნებრივი ენა, ვიდრე არის ჩვეულებრივი სალაპარაკო მეტყველება, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იგრძნობს ლეა, რომ ამგვარი კაცი არასოდეს არ უნახავს. მასთან ერთად ჩვენც დავინახავეთ იჯავის დაბადების იმ ცოცხალ შემოქმედებით პროცესს, რომელიც მუდამ მომხიბვლელია. მაშინ ჩვენც ვირწმუნებთ იმას, რომ ამგვარი კაცის შეყვარება ბუნებრივი და ვასაგებია.

თუ იჯავ-არაკის დაბადების ეს შემოქმედებითი პროცესი არ არის, მაშინ ტექსტის სიმრავლე ეზოებს როლში, რაც არ უნდა საინტერესო იყოს იგი თავისთავად, მეტისმეტად ტვირთავს მაყურებელს და, გარკვეულ დროის შემდეგ, შეუმჩნეველად აქცევს მას მხოლოდ და მხოლოდ მსმენელად.

გფიქრობთ, ამაშია მიზეზი იმისა, რომ ამ წარმოდგენას პირველ დღეს მისთვის შესაფერი წარმატება არ ხვდა წილად.

მაყურებელი აღტაცებული იყო გ. ტოვსტონოვოვის რეჟისორული ოსტატობით, ბრწყინვალე მხატვრული გაფორმებით (რომელიც მასვე ეკუთვნის), მზის ამოსვლით, კანათებით, ჰაერით. მაგრამ წარმოდგენის შემდეგ თან არ მიპყვებოდა მღელვარე აზრი იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტი თავისუფლების გარეშე ადამიანის ცხოვრება შეურაცხყოფელი არსებობაა მხოლოდ. არ გავლევიათ სურვილი შებრძოლონ ყველაფერს, რაც ზღუდვას მას, ებრძოლონ დაუნდობლად, დაუზოგველად.

...ლენინგრადელთა ნამდვილი წარმატება, წარმატება, რომელიც ყოველ შემდგომ საექტაკლთან ერთად იზრდება, გასტროლების მეორე დღიდან დაიწყო, მაშინ, როდესაც თბილისელმა მაყურებელმა იხილა ა. ვოლოდინის პიესა „ხუთი საღამო“ (დადგმა გ. ტოვსტონოვოვის, მხატვარი ვ. სტეპანოვი).


„ხუთი საღამო“ არის პიესა სიყვარულზე, ურომლისოდანაც ადამიანის სიცოცხლე არ არის სახვე, სრულფასოვანი, უკომპრომისო სიყვარულზე.

სცენაზე ვხედავთ ჩვენს თანამედროვეებს, ადამიანებს, რომლებსაც თითქოს სადღაც შევხვდებივართ. ასე გგონია, თითქოს იცნობთ კიდევ. მათი ხასიათი და შინაგანი საყვარო უტეხ არ იხსნება, არამედ თანდათან, ერთმანეთის მიმართ რთულ შინაგან დამოკიდებულებაში. ყველაფერი, რაც ხდება ამ პიესაში, რაც ემართება მის გმირებს, ნაცნობია და ვასაგებია.

...თუნდც თამარის დიდი სიყვარული ილინისადმი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მისი თანამგზავრი ხდება, სიყვარული ამაყი და მომთხონი, რომლისთვისაც აუცილებელია ღრმად გაწამდეს საყვარელი ადამიანის ზნეობრივი სიმაღლე. ასეთია ზ. შარკოს თამარი.

...ილინის უთქმელი გრძნობა, დატყვევა საკუთარ შესაძლებლობაში, სურვილი იყო უფრო მეტი, ვიდრე შესძელი, მორიდება, სიცრუეც კი იმისთვის, რომ სატრფოს წინაშე სხვებზე ნაკლები არ გამოჩნდეს (მსახიობი ე. კოპელიანი).

...კატია — სულ ახალგაზრდა გოგონა, რომელსაც პირველად შეყვარდა, მოუხერხებლად, გულუბრყვილოდ (ლ. მაკაროვა).



ჩსფსრ დამსახ. არტისტი გ. კობეღიანი მარტო არმანდის ბოლში (სინეორ მარტო წერს კომედის)





სენა სპექტაკლიდან „იდიოტი“  
მარცხნივ — რსფსრ დამსახ. არტისტი ე. ლებუღვევი როგოცინის როლში და ი. სმოკტუნოვსკი მიშკინის როლში

...ზოია, რომელიც ეძებს სიყვარულს, უნდა იჯახი, თავისი კერა, შვილები, მაგრამ ვერ იქნა, ვერსად ფეხი ვერ მოიკიდა... — რა ნაცნობია ეს ყველაფერი, რა ახლობელი, ჩვეულებრივი, ამ ჩვეულებრივში კი რამდენი ნაცნობი. ამბავი, რომლის გარშემოც თავს იყრის მოქმედ პირთა ცხოვრება ბიესაში, არაფერს განსაკუთრებით საინტერესოს არ შეიცავს: ილინმა თავის პირველ სიყვარულს — თამარს მოაკითხა. რამდენი წელია ერთმანეთი არ უნახავთ! თამარის მხერგაში, ყოველ მის საქციელში უსაზღვრო სიყვარულია. ილინს არ მიაჩნია თავი ამ სიყვარულის ღირსად და მოულოდნელად ისევე წავა, როგორც მოვიდა. ეძებს, სად არ ეძებს ილინს თამარი, მაგრამ ამაოდ. ზედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა.

ავტორი და რეჟისორი ხაზს განზრახ არაფერს არ უსვამენ, არაფერს არ უმაღვენ მაცურებელს იმისათვის, რომ ამით მისი ცნობისმოყვარეობა გააძლიერონ. პირიქით, უარყოფილია ფარდა — თეატრის ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი, მაქსიმალურად შემცირებულია სამოქმედო ადგილი სცენაზე. გ. ტოვსტონოვოვმა ყველაფერი წინ წამოსწია, მაცურებელს მიუახლოვდა, რათა გმირთა ყველაზე საიდუმლო სულის კუნჭულში ჩაახელოს ადამიანი. ჩვენ თვალწინ იცვლება დეკორაცია, რომელიც მოძრავ მოედანზეა მოთავსებული და სულ ადვილად იცვლის ადგილს. გამოყენებულია ფარდები და მხოლოდ ის საცნებო, რომლებიც მოქმედების მიხედვით არის საჭირო. არც ეს საცნებოა ხაზგასმული და განსაკუთრებით გამოყოფილი, ისინიც აქაც ისევე ჩვეულებრივი არიან, როგორც ცხოვრებაში.

მთელი წარმოდგენის მანძილზე გმირთა ცხოვრება ისე იშლება თქვენს წინ, რომ ვერ ნახავთ ვერც ერთ მიზანსცენას განსაკუთრებით გამოყოფილს. აქაც ყველაფერი განზრახ, ხაზგასმულად ჩვეულებრივია.

სწორედ ამაშია გ. ტოვსტონოვოვის რეჟისორული მიღწევა ამ წარმოდგენაში. ყველაფერი ჩვეულებრივია და ამავე დროს საოცრად მეტყველი. იმიტომ, რომ ამ ჩვეულებრივში დიდი და ღრმა აზრია ამოკითხული. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს რეჟისორიც თქვენ გვერდით ზის დარბაზში და ფრთხილად ჩაგჩურჩულებთ — „...შეხედეთ, რა ჩვეულებრივია ყველაფერი, რა ახლობელი და ნაცნობი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში! იქნებ, დაგვიწყდათ, რომ ამ ყოველდღიურსა და ჩვეულებრივში ძალიან ბევრია საინტერესო, მნიშვნელოვანი, ღრმა, ლამაზი... არ დაგვიწყდებათ!..“

წარმოდგენა დამთავრდა. სრული შთაბეჭდილება გაქვს, რომ გაიცანი რამდენიმე ადამიანი. მათ გულახდილად გადამაღეს შენს წინაშე თავიანთი ცხოვრება, არაფერი არ დაგიმაღეს და უკვე ამით გცნის თავის მეგობრად. შენც თანაუგრძნობ, ფიქრობ მათზე. გულგრილად განშორება და დაიწყებაც შეუძლებელია.

„როცა აკაცია პყავის“ — ნ. ვინიკოვის სამოქმედებიანი კომედია-კონცერტი (დადგმა გ. ტოვსტონოვოვის, მხატვარი ს. მანდელი, კომპოზიტორი მ. ტაბაჩნიკოვი) — ეს არის ბიესა გაზაფხულზე, სიყვარულზე, ახალგაზრდობაზე, იმ დროზე, როდესაც ადამიანი დამოუკიდებელ არსებობას იწყებს, ფრთხილად დაგმას პირველ გაუბედავ ნაბიჯებს ცხოვრებაში. მოქმედების ადგილია უმაღ-



რუსურ დამას. არტისტი ლ. მაკაროვა კატის როლი (ახუთი საღამო)



სცენა სპექტაკლიდან „ახუთი საღამო“



მსახ. ზ. შარკო თამარის როლში (ახეთი საღამო)

ლესი სასწავლებელი, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი...  
სესიების ცხარე დღეები. აუარებელი საქმე და...  
ამ დროს გაზაფხული, აყვავებული აკაცია. პარკიდან ის-  
მის მუსიკის ხმები... ყველა, ყველა, ემორჩილება ახლად  
გაღვიძებული ზუნების ამ ჯალოსნურ ძალას და გაბრუნებულ-  
ლი მიჰყვება მას. რა არ ხდება: ილია შატლოვს ხანშიშე-  
სულმა დოცენტმა კინაღამ არ წაართვა საცოლვე, რომელიც  
დოცენტმა თავისი მღვრიანობით და შემოსავლით მოიხზო-  
ლა. რაისა კოვრიგინას კი ილია უყვარს, ზორის პრიშჩე-  
პინსა და სვეტა ჭუროვას კი თურმე ერთმანეთი ჰყვარე-  
ბიათ. დირექტორის ბირად მდივანს — კლავდია ვასილევ-  
ნას გათხოვება უნდა... კოსტია ხომენკომ სახლიდან ამა-  
ნათი მიიღო. ერთი სიტყვით, ცხოვრება სასევა ათასნაირი  
ამბებით.

ბიესის ფორმის თავისებურებას აპირობებს ორი წამყ-  
ვანი — ქალი და ვაჟი, — „ავტორის მაგიერნი“. მათ შვი-  
კოსტუმები ავციით, თითო სკამი უღვათ სცენის მარჯვენა  
და მარცხენა კუთხეში. ესენი გვაცნობენ ამ ნაწარმოების  
ყოველ გმირს ცალ-ცალკე. როცა საჭიროა, ერვინი კიდევ  
სცენურ მოქმედებაში. ახსნა-განმარტებას აძლევენ გმირ-  
თა ნათქვამსა და ნამოქმედარს. ხან მსჯავრსა სდებენ, ხან  
მხარს უჭერენ. მათ საიდუმლო ზრახვებსაც კი ამოიცნობენ  
ხოლმე და მასურებელს უმხელენ.

მსუბუქია და მხიარული ეს ნაწარმოები, სასევა სასა-  
ცილო სიტუაციებით, მახვილსიტყვიერებით, მოულოდნე-  
ლობით. მართალია, სიუჟეტური ხაზი არ არის მკვეთრი,  
ვერც კომპოზიციურადაა ბოლომდე გამართული, მაგრამ  
ცალკეული სცენები ნამდვილი იუმორითა და ცხოვრებისე-  
ული სიმართლით არიან გამსჭვალული.


გამოცდილი რეჟისორის ოსტატური ხელით გ. ტოვს-  
ტონოვოვი მარჯვედ აერთიანებს ამ გაფანტულ, ცალკეულ  
სცენებს იმ საერთო სადღესასწაულოდ ზეაწეული, მხიარ-  
ული განწყობილებით, რომელიც თან გასდევს სპექ-  
ტაკლს დასაწყისიდან დასასრულამდე.

გარემო, რომელშიც ამ ახალგაზრდების ცხოვრება მი-  
დინარეობს, ლამაზია და კონტა. სცენაზე ნახევარწრედ,  
გაშლილი თეატრის მსგავსად. დგას ამა თუ იმ სცენისათ-  
ვის საჭირო ნაგებობის კედლები. კარის მაგიერად უზრა-  
ლო ცარიელი ადგილია დატოვებული. ამ კედლის გამოცე-  
ლა და მოქმედების ადგილის შეცვლა ერთია. ზემოდან კი  
გადმოშვებულია აყვავებული აკაციის ხის  
უზარმაზარი და ძალიან ლამაზი ტოტი,  
დატვირთული აკაციის მოვარდისფერო ნაზი  
ყვავილებით, რომლებიც თითქოს სურნელე-  
ბას გამოისცემენ.

რა ადვილად, რა შეუმჩნეველად იცვლება  
დეკორაცია ჩვენს თვალწინ და როგორ უწყ-  
ობს ხელს მოქმედების დინამიურობას!  
როგორ ერწყმის რეჟისორის მიერ სცენათა  
გადაწყვეტის მძაფრ ქმედითობას, რიტმს,  
რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს  
ყოველი წარმოდგენისათვის, კომედიისათ-  
ვის კი — განსაკუთრებით.

დეკორაცია მაქსიმალურადაა გამოყენე-  
ბული რეჟისორის მიერ. გმირთა სცენური  
ცხოვრების ყოველ მონაკვეთში ჩაბმულია  
იგი, როგორც ცოცხალი ძალა. ეს კი მიველ

სცენა სპექტაკლიდან „ილიოტი“





ლ. შავარდია — ლიდა შატბერიძე, კ. ლავროვი — პეტრე პეტრესი  
(„როცა ასეთი სიყვარული“)



მსახ. ვ. ნიკოლაევა ლალას როლში  
("სინიორ მარიო წერს კომედიას")

საქტაკლს ანიჭებს იშვიათ მთლიანობას და ნაღვესს.  
ნაღვესს ბიესის ხარვეზს.

მსუბუქი იუმორი, ძუნწი, მაგრამ მკვეთრი მონახაზი, გამჭვირვალე ფერი — აი, ის ახალი თვისებები, რომლებიც გ. ტოვსტონოვოვის ამ ნამუშევარში გამოძვლავნდა.

...ა. ნიკოლაი — „სინიორ მარიო წერს“ კომედია (დადგმა გ. ტოვსტონოვოვისა, მხატვარი ვ. სტუპანოვი).

კაბინეტის ერთი კედელი მთლიანად უზარმაზარ ფანჯარას უჭირავს. მის იქეთ იტალიური ქალაქის ჭრელი ბენიჯი მოსჩანს. რეკლამის თვალისმომჭრელი ნათურები განუწყვეტლევ ინთებიან და ქრებიან. რათა ყურადღება მიიტციონ. მოისმის როკნ-როლის გულისგამაწყვალელად ერთფეროვანი რიტმული აკორდები. წიგნებით სავსე თაროები კედლებზე, საბეჭდი მანქანა, სეარქლები. ეს სინიორ მარიოს სამუშაო ოთახია. აქ უნდა დაწეროს მან მხიარული კომედია, რომელიც თეატრის დირექტორმა შეუკვეთა. მისდა უნებურად კი იწერება გულბრწყვილო სოფლელი ვოგონა ტერეზინასა და ჯარისკაცი პიიკოს წმინდა სიყვარულის სვედიანი ამბავი, ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ იმხვევრბლა ეს წმინდა გრძნობა ბურჟუაზიული საზოგადოების დაუნდობელმა კანონებმა, როგორ გაიარა პიიკომ მძიმე გზა დამცირებული რიგითი ჯარისკაციდან, ვიდრე ადამიანის ღირსებისათვის მებრძოლადამიანამღე.


თანამედროვე იტალიელი დრამატურგის ა. ნიკოლაის ბიესა „სინიორ მარიო წერს კომედიას“ წარმოადგენს მისივე ორი ბიესის „ტერეზინასა“ და „ჯარისკაცი პიიკოს“ შენაერთს. ამ შეერთებამ განსაკუთრებით გამაწყვავა ბიესაში დაყენებული სოციალური საკითხი — ნამდვილ ხელოვანს არ შეუძლია წეროს დაკვეთით. სინამდვილე მისდა უნებურად შემოიჭრება შემოქმედებაში და ათქმევენებს ტეშმარტებას.

ბიესაში გმირთა ცხოვრების ორი ფენაა ნაჩვენები. ერ-



მსახ. ჯ. ლავროვი  
სლავეს როლში  
("ბუთი საღამო")

მსახ. ვ. შახოვა  
ლიდა პეტრუსოვას  
როლში ("როცა ასეთი  
სიყვარულია")



თი — რეალური სინამდვილე — მარიო და მისი ოჯახის წევრები, მეორე — მარიოს შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფი, მის მიერ გამოგონილ გმირთა სამყარო.

ამის შესაბამისად სცენური სამყაროც ორ ნაწილადაა გაყოფილი. ეს სულ უზრალოდ ხერხდება: ყველა სცენა რეალური ცხოვრებიდან მარიოს კაბინეტში მიმდინარეობს, მარიოს ნაწარმოების გმირებისათვის კი კაბინეტის ფართო ფანჯარა შემწიწველად გადაიქცევა ხოლმე საცხოვრებელ ადგილად.


ასე გამოყოფს ერთმანეთისაგან რეალურს და პოეტურ სამყაროს მხატვარი. რამდენ ხერხს ხმარობს თავის მხრივ რეჟისორი მისი ფანტაზია ნამდვილად უსაზღვროა, გამოგონების უნარი — უსასრულო, საშუალებები — მრავალფეროვანი, თამამი და გაბედული.

იმისათვის, რომ ეს ორი სამყარო ერთმანეთისგან განასხვავოს, გ. ტოვსტონოვოვი არ იშურებს მკვეთრ საღებავებს ზურჯაუხოვლი ეპოქის ცხოვრების გასაკვივად. ამ სინამდვილეში მხოლოდ ერთი სინიორ მარიო არის ნამდვილი პიროვნება, მას ჯერ არ დაუკარგავს ადამიანური ღირსებები, მოქალაქეობრივი კეთილსინდისიერება. დანარჩენები კი, თვით მარიოს ოჯახის წევრები — ცოლი და ორი შვილი შინაგანად სრულიად ცარიელი ადამიანები არიან. ფული, დროსტარება — აი, მათი ცხოვრების მთელი შინაარსი. ამიტომ ცოლქმარი, მამა-შვილი სრულიად უცხონი არიან ერთმანეთისათვის. სინიორ მარიოს ახლობელი ადამიანები არიან იქ, პოეტურ სამყაროში, ადამიანები, რომლებიც მან ცხოვრებაში აღმოაჩინა და საკუთარი ნაწარმოების გმირებად აქცია.

გ. ტოვსტონოვოვის აშკარა მოქალაქეობრივი დამოკიდებულება პიესაში ნაჩვენებ სინამდვილისადმი და მისი უნარი გმირთა ცხოვრებაში სოციალური მომენტების გამწვავებისა არსად ისე მძაფრად არ გამოვლენილა, როგორც ამ წარმოდგენებში. რა დაუნდობელია იგი სინიორ მარიოს ცოლისა და შვილებისადმი, უარყოფითი პიროვნე-




სცენა სპექტაკლიდან „ილიოტი“



მსახ. ს. კარნოვი-  
გალუა ტოცის  
როლში („ილიოტი“)



სცენა სპექტაკლი-  
დან „მელო და აურ-  
ტინი“



მ. გორკის სახ. ლენინგრადის სახელმწიფო დიდი დრამატული თეატრის



ბენისადმი მარიოს ბიესაში. როგორ სძაგს ისინი, ეზიზღება, რა მკვეთრად სატირულია მისი რეჟისორული ხერხები. სამავიეროდ, როგორ უყვარს მარიოს დადებითი გმირები ტერუზინა და ბიჩიკო. რა ფაქიზად, როგორი სიფრთხილით მოვეთხრობს მათი წმინდა გრძნობის შესახებ.

„სინიორ მარიო წერს კომედიას“ — გ. ტოვსტონოვოვის საუკეთესო რეჟისორული ნაშეშევარია იმ დადგმებს შორის, რომლებიც ჩამოიტანა ლენინგრადის თეატრმა ამჟერად. შეიძლება, თამამად ითქვას, რომ ეს სპექტაკლი ბრწყინვალე ნიმუშია რეჟისურისა, როგორც დადგმითი ხელოვნებისა.

დოსტოევსკის „ილიოტის“ სცენაზე განხორციელებას წინ ეღობებოდა მთელი რიგი სიძნელეებისა, რომელთა გადალახვა აუცილებელია ყველა არადრამატურული ნაწარმოების თეატრში წარმოდგენისას: მოქმედების ადგილის ხშირი ცვლა, დროის უსასრულოდ დიდი მონაკვეთი. გმირთა ცხოვრების წყვეტილი ხაზი და ა. შ.

ეს ყველაფერი გ. ტოვსტონოვოვმა ერთბაშად დასძლია სპექტაკლის საერთო ვადაწყვეტით: წარმოდგენა ჩაფიქრებულია, როგორც წიგნი. მისი უმნიშვნელოვანესი ადგილები გათამაშებულია სცენაზე. ამ სცენებს შორის კი ჩვენს წინაშე იშლება დოსტოევსკის ამ რომანის პირველი გამოცემა, რომლის ფურცლები უკვე გაყვითლებულია და გაკვეთილი. ამ ფურცლებზე, კინო-ტიტრების მსგავსად, ვკითხულობთ ჩვენ იმ ტექსტს, რომელიც წარმოდგენილ სცენებს ერთმანეთთან აკავშირებს.

უძლიერეს შთაბეჭდილებას სტოევს ახალგაზრდა მსახიობი ი. სმოტუნოვსკი მიშკინის როლში. ჩვენ არ ვიცით, როგორ თამაშობს იგი მიშკინს, — ჩვენს წინაშეა თვითონ დოსტოევსკის მიშკინი. იშვიათია ლიტერატურუ-



გასტროლების სახეიშო დახურვა ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრით

ლი და სცენური გმირის ასეთი დამთხვევა. ი. სმოკტუნოვსკი არა მარტო განიცდის ღრმად და დამაჯერებლად, არამედ თავიდან ბოლომდე სწორად, რომანის შესატყვისად ავითარებს თავისი გმირის ცხოვრებას, არ არის არც ერთი წუთი, რომ არ გჯეროდეს იმისი განცდის სიმართლე.

ყველაზე მკვეთრად ამ წარმოდგენაში გამოვლინდა მსახიობთან გ. ტოვსტონოვოვის მუშაობის იშვიათი უნარი. გასაოცარი სიფრთხილითა და მოწიწებით ეხმარება იგი ი. სმოკტუნოვსკის ძუნწი, მაგრამ მეტყველი მიზანსცენებით, სცენურ ცხოვრებაში მომხდარი ამბის ლოგიკის სიღრმის ამოხსნითა და მისი შეუბღალავი დაცვით, მუსიკის შეუმჩნეველი მიწვევებით, მისი ორგანული ჩაქსოვით სპექტაკლის ცოცხალ ორგანიზმში. არაფერი არ უნდა იპყრობდეს მაცურებლის ყურადღებას, გარდა გმირთა ცხოვრებისა! რეჟისორისა და მსახიობის შემოქმედებითი შრომის ნაყოფი იმდენად შეედლდა ერთიმეორეს, რომ მათ შორის ზღვარის გაკლება შეუძლებელია. დრამატულ თეატრში რეჟისორისთვის ამაზე დიდი გამარჯვება არ არსებობს.

ლენინგრადელთა წარმოდგენებმა გაცხოველებული კამათი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიეს თბილისის თეატრალურ მაცურებელთა შორის. ერთი რამ კი ნამდვილად არ იწვევდა არ დავას, არც კამათს—თეატრის სათავეში უღვას ბრწყინვალე რეჟისორი, ნამდვილი შემოქმედი, დიდი ოსტატი.



ლილა — ე. ნიკოლაევა, მარიო — ე. კომელიანი  
(„სინიორ მარია წერს კომედიას“)





სსრკ სხვადასხვა არტისტი ვ. პოლიციემკო ეზოებს როლში («მელი და ყურბენი»)

1977



ჩვენი კოლმელი სტუპრავი

კრავუის ფილარმონის სოლისტი ი. ვინარსკაია






კრავოვის ოპერის  
სოლისტი  
ა. პუსტელიაძე



საქართველო  
კინოფილმი

ბიტომის ოპერის სოლისტი ი. როზელოვევა



გდანსკის ოპერის სოლისტი ე. პოდსიადლი

# მალალი სოპერო ხელოვნებისათვის

ზ. ფალიაშვილის სახ. თეატრის ბანკილილი სოპერო სოპრანოს ბაიო

## ანტონ ნულვიცი



ასული სეზონის საოპერო სპექტაკლების მნიშვნელოვან ნაწილს თვლი რომ გადავივლოთ, ნათელი ხდება სურათი იმისა, თუ როგორ სულ უფრო და უფრო უზრუნდება ზ. ფალიაშვილის სახელოვნობის თეატრის მასურებელი, რომელიც მთელი რიგი წლების განსაზღვრაში თითქმის ჩამოშორებული ჰყავდა. ცხადი ხდება, რომ საზოგადოების თვალში კვლავ აღდგა რეპუტაცია ოპერის თეატრისა, როგორც მოწინავე კულტურის ერთი შესანიშნავი კერისა (და ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის ხომ ამ მხრივ ღრმა ტრადიციები ჰქონია თავისი არსებობის უმეტეს მანძილზე). მსგენს მასურებელთა აუდიტორიას „დაუბრუნდნენ“ თეატრის ძველი გულშეპყრებლები. მოდის ახალი მასურებელი (ახალი თაობების სახით), რომელიც თეატრთან დამოკიდებულებაში განაგრძობს თავის „წინამორბედთა“ ტრადიციებს...

დღეს უკვე ვეღარ ვიტყვით იმას, რომ ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრში საზოგადოებას იზიდავს მხოლოდ ბრწყინვალე საბალეტო სპექტაკლები. ეს კი ნამდვილად ასე იყო სულ მცირე ხნის წინ!

ერთის სიყვით, მოხდა მასურებლის საფუძვლიანი შემობრუნება. ამას მრავალი მიზეზი აქვს, რომელთაგან მთავარია, ცხადია, თვით თეატრის შემობრუნება და რასაკვირველია, ეს უცებ არ მომხდარა — იგი წლების შედეგია...

## სოპერო კოლექტივის ბანახლეა

აი ეს არის საფუძველი ამ ორთავე — მასურებლისა და თეატრის შემობრუნებისა. სულ რამდენიმე წლის წინათ საკმაოდ სავალალო სურათი იყო: უფროსი თაობათა წარმომადგენლები (სახელოვან მომღერლები) თანდათან ტოვებდნენ სცენას, მათი ცვლა კი იმკამდ ემიზოდური და საკმაოდ მჭირალი იყო. რა თქმა უნდა, თეატრის ცხოვრებაში ამ წლებში კვლავ დიდ როლს თამაშობდა „საშუალო თაობები“. მაგრამ ცხადი იყო ის, რომ სუსტდებოდა საოპერო კოლექტივის ცალკეული „რაობები“ და საგრძობლად რჩევდა კოლექტივის ის მთავარი და მთლიანი შემოქმედებითი სახე, რომელიც აგრეთვე დელაგირებდა ქართული ხელოვნების პირველ დეკადზე (1937 წელს, მისკოვში) და მის მომდევნო წლებში. ამრიგად, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ სერიოზულ შემოთავაზება იწვევდა თეატრის მომავალი.

ამ ბოლო წლებში ახალგაზრდა მომღერლებით კოლექტივის შევსებამ თითქმის მასობრივი ხასიათი მიიღო. ამ მხრივ თეატრის ხელმძღვანელობამ გაბედული და ერთადერთი სწორი გეზი აიღო: სწრაფად წამოსწია ახალგაზრდები წამყვან საოპერო პარტიებზე, ამასთან გულმოდგინედ და თანმიმდევრულად მუშაობდა მათთან. ეს გეზი ვადამწყვეტი აღმოჩნდა საოპერო კოლექტივის პერსპექტივისათვის. ამ გარდატეხა-აღორძინების პროცესის ღირსეული დაგვირგვინება იყო ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის მეორე დეკადის დასაწყისი, რომელზედაც ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის საოპერო დამსახურებულნიანდ დაიმკვიდრა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საოპერო კოლექტივის რეპუტაცია. მომდევნო ახალგაზრდობის გაბედული წამოწყება თეატრის ხელმძღვანელობის უკანასკნელი წლების მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეა და არ შეიძლება ეს ჯეროვნად არ დაფასდეს.

თეატრში მოსულმა ახალგაზრდობამ კვლავ შეავსო საოპერო კოლექტივის ყველა რაობი. რა თქმა უნდა, ეს ისე არ უნდა გავივით, თითქმის თეატრის შემოქმედებით ჰქანას მხოლოდ ახალგაზრდობა ეწევა. კვლავც დიდი ევტერანი მისი როლი თეატრის ცხოვრებაში. ღირსეულ სიმძლავრეზე ჩვენი სახელოვანი მომღერალი და მსახიობი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი პეტრე ამირანაშვილი, ახალგაზრდობისათვის მაკალითის მიმცემია დღეს უკვე მცირეანი მომღერლის სახალხო არტისტის ნიკოლოზ ბელაქნელის თვალდადებულ და ენერგიული მოღვაწეობა. ასევე შეიმძღვრა უფროსი თუ საშუალო თაობათა სხვა დავაწმოსილი მომღერლების აღნიშვნაც, მაგრამ ამ წერილის მიზანსა სხვა — სახელოვანი, თუ რასიასხე მოიტვია ვასულმა სეზონმა. ეს სახელო მოუტნეს თეატრის არა მარტო ახალგაზრდობა, შემოქმედებითი ძიებანი და თავის თავზე საფუძვლიანი მუშაობა კვლავ იგრძნობა უფროსი თაობების მ მღერლებში, რომლებიც პირველ დეკადზე და მის მომდევნო წლებში ახალგაზრდათა რიგს ეკუთვნოდნენ.



რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლეილა გუკურიძე ამნერისის როლში („აიდა“)

მსახიობი ნოდარ ჯაფარიძე გოჩას როლში („ღარიჯან ციყერა“)





მსახიობი ნოდარ ანდლელაძე ონდრის როლში („ტოსკა“)

ასე, ბირველად გამოვიდა სკარპიას როლში („ტოსკა“) სახალხო-არტისტი ბ. კრავიცივილი. სამეოთა მუსიკალური საზოგადოებრიობა ბ. კრავიცივილის იცნობს, როგორც ჩინებული ვოკალურ-სცენური მონაცემებით აღჭურვილ მსახიობს. მრავალმხრივი ნიჭის წყალობით კრავიცივილი მარჯვედ არომეებს თავს ნაირგვაროვან სახეებს—ეს იქნება ლირიული პარტია, დრამატული ხასიათი თუ ოპერეტა. განსაკუთრებით წარმატებას აღწევდა მომღერალი იქ, სადა სკიორი იყო სიმუხუბე და მჭექველები. წარმატება ხშირად ადვილად მოიპოვებოდა იყო და ზოგჯერ ეს ზეგულბობის დაღს ასვამდა მის ამა თუ იმ ნამუშევარს. ამ უკანასკნელ წლებში კრავიცივილი საგრძნობლად ავლენს დრამატულ სახეებში ჩაღრმავების უნარს. ღრმა გააზრების შესანიშნავი ნაყოფია მისი სკარპია. რომელი ტირანის მრისხანება და ვნებიანობა მსახიობს მტკარა მძაფრად და შთამბეჭდავი სცენური ფორმით აქვს გამოხატული. ამ ქმინდა განსაკუთრებით გამოყოფილი კრავიცივილის ერთი თვისება—თუ როგორც ორჯაბულად შედის იგი მუსიკალური დრამის მზარდ სიმფონიურ ძაბვაში: ვგულისხმობთ I აქტის ფინალს, სადაც მომღერალი იჩენს დინამიური საგუნდო სცენის შესაბამისად ხმის ბეგრადობის თანმიმდევრული გაძლიერების საუცხოო უნარს, რაც მეტყველებს მის ნამდვილ დრამატულ ტემპრამენტზე. სხვათა შორის ეს თვისება დიდად უწყობს ხელს კრავიცივილის მურმანის პარტიაში; მურმანის შემოსვლის ეპიზოდში „აბესალომ და ეთერის“ III მოქმედებაში, ჟღერადობის ზრდის ფრიალ შთამბეჭდვად კრემზინდოს იძლევა.

სრულიად ახალი თვისებები გამოავლინა ამ ბოლო დროს თეატრის წამყვან-მა მომღერალმა, სახალხო არტისტმა ნაიდა ხარაძემ. მან თავი ვეკრევა, როგორც ბრწყინვალე სახასიათო-კომედიურმა მსახიობმა. ამის ნიმუში იყო ადრე მხარა-დედოფალი ა. ბუკიას „დაუპატიებელ სტუმრებში“, ხოლო ამ სეზონში კი ვ. გუციელის „წითელქუდაში“—გოლია. იუმორის საუცხოო გრძნობა, მსუყე და ემპეტური სატირული საღებავები სცენურ მოქმედებასა და ვოკალურ ინტონაციებში, ნ. ხარაძის ამ ორ როლს ხდიან ქართული საოპერო სცენის ძვირფას შენაძენად.

### ახალგაზრდა მომღერლის შესახებ

თუნდაც გასული სეზონი ბევრს ამბობს იმაზე, თუ როგორ ამართლებს ახალგაზრდა თეატრი წამყვან მდგომარეობას, როგორ ვითარდება და ეწეულა მან თანდათან თავის წინამორბედა რეპერტუარს.

დაიწყო ზ. ანუაფარიძითა და ნ. ანდლელაძით. დრამატული ტენორების პირობებში ერთ-ერთი ყველაზე მტკიცეულია შთელი სამეოთა კავშირის მუსიკალური თეატრებისათვის. ამ ხმაზე დიდად არის დამოკიდებული სცენური განხორციელება იმ ღრმა შინაარსიანი, დრამატული ოპერების, რომლებიც ძირითად საოპერო რეპერტუარის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ. ქართული ეროვნული ხელგუნების ინტერესებშია რომ მივუდეთ, სხვას რომ თავი დაეანებოთ, იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ დრამატული ტენორის მხატვრული უნარიანობა გადაამწყვეტ როლს თამაშობს ჩვენი ეროვნული ოპერა დედაბოის „აბესალომ და ეთერის“ დადგმისას. ქართული ხელგუნების 1937 წლის დეკადის დროს, მოსკოვში, ჩვენს იმეათად მაღალი ხარისხის საოპერო სექტაკლებში საგრძნობი წილი ევით საოპერო ხელგუნების დიდოსტატებს დავით ანდლელაძესა და ნიკო ქუშისაშვილს, რომლებიც მოქმედებითი ზენიტში იყვნენ. 20 წლის შემდეგ კი, მეორე დეკადზე, მათი მკაპანს წევა დაკვირავთ ახალგაზრდა მომღერლებს ზურაბ ანუაფარიძეს და ნოდარ ანდლელაძეს, რომელთა წარმატება მეტყველებდა თეატრის საუკეთესო ძაბვებზე. ორივემ სწრაფად გაითქვა სახელი საქართველოს გარეთ—ჩვენი ქვეყნის ქალაქებში, მოძვე რესპუბლიკების საოპერო სცენებზე, ფესტივალებზე. ცნობილ დროს განმავლობაში ზ. ანუაფარიძემ უკვე მოასწრო წარმატებით მოყოლება ჩეხოსლოვაკიაში, სისტემატური გამოსვლები სსრ კავშირის დიდი თეატრის სცენაზე როგორც ვასტროლიორმა (რაც დიდი თეატრის პირობებში მტკარა საბატია), და ეს ბუნებრივად დაავიკრვინდა დიდი თეატრის მუდმივ სოლისტად მისი მიწვევით. ახალგაზრდა მომღერალმა, გარდა ჭეშმარიტი არტისტიზმისა და ნათელი მუსიკალურ-ვოკალური მონაცემებისა, ყურადღება მიიქცია განსაკუთრებული ინდივიდუალური თვისებებით. ანუაფარიძის აქვს მუსიკალური ინტონაციის უარესად ხალხის წარმოთქმის უნარი, იმეათად ეგვიდება მის შესრულებაში „ზოგადი“, განცდიდან გამოთიშული მომენტად, და რაც მთავარია, ყოველივე ამას იძლევა სცენურ მოქმედებასთან საოცრად „სუბტილურ“ მთლიანობაში (რაც არც იმ ხშირად ოპერის მომღერლებს შორის). მის მჭექავარ „მუსიკალურ-სცენურ ცხოვრებას“ არასოდეს არ ემჩნევა რაიმე „ნათამაშეობის“ კვალი, რაც მის გემოვნებასა და მაღალი რანგის არტისტობაზე მეტყველებს. ამ თვისებებს იგი არ დალატობს ახალ, „სტრადლიცი“ ნაწარმოებებშიც, მაგალითად „არსენაში“. რაღამესში („აიდა“) განმოსვლით ახალგაზრდა მომღერალი უკვე დაუვლდა თეატრის მიმდინარე „გარეპერტუარო ფონდს“ (გვულისხმობთ დრამატული ტენორის პარტიებს) და



ბორის გოდუნოვი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თეატრის მუშაობისა

ახლო წარსულში ნაჩვენები ოპერებიდანაც მცირე რამ დარჩა „ასთვისებელი“. რადამესის — დრამატული ტენორისათვის ამ ერთ უთოულეს პარტიაში ახვაფარიძემ გამოამჟღავნა ესოდენ საჭირო თვისებები — შინაგანი გზუნება და კეთილშობილური თავდაპყრა. მიუხედავად უდავო წარმატებისა, არ გვინდა ანკუაფორიდის მუშაობა ამ როლზე დამთავრებულად მივიჩნიოთ. მომღერალს დრო ჯერა აქვს რიონის შესრულების ტრადიციების უფრო თავისუფალი დაუფლად სწავლის, მუსიკალურ „ქოვილიში“ მეტი ჩაღმრთებისათვის. დახვეწის საჭიროება მისი გარეგნული აქსესორებზე (ნაცმულთა და სხვ.) ასევე თითქმის ნოდარ ანდლუაშის რაღამესზეც. მაგრამ ერთ სეზონში ორი ახალი რადამესის გამოჩენა ჩვენი საოპერო ხელოვნების დიდი შენაძნინა და სენსაციურ მოვლედ შეიძლება ჩაითვალოს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

ნოდარ ანდლუაშე მეტად მდიდარი ვოკალური მონაცემების მსახიობია. სულ მეიერ ზინია რაც იგი თეატრშია და ყოველი როლიდან ახალ როლშივე მიიღის დიდი ნახტომებით, ამკლავებს უტყუარ მუსიკალურ-ინტელექტუალურ სურდას. თვით იმ პარტიებში, რომლებშიც ნ. ანდლუაშე ვოკალურადაც და სცენარადაც კერ კიდევ გაურანდვია, ამკარად იგრძნობა ახალგაზრდა მომღერლის თვალსაჩინო მუსიკალურ-დრამატული შესაძლებლობანი და მასშტაბურბომა (ეს არათანაბარი სურათი განსაკუთრებით შესამჩნევია იყო „არსენიური“). მომღერალი სერიოზულად უნდა მოვიდოს ხმის მეტი ეკონომიით გამოყენებას, მეტად უნდა დაეუფლოს პლასტიურ „პიანოზე“ სიმღერას. გარდა ამისა, ძლიერი ფლერდობით ცალმხრივი ვახტება შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს მისთვის. დიდი ქების იღისა ნ. ანდლუაშე თანამედროვე სლოვაკური კომპოზიტორის ე. სუხონის ოპერაში „კრუტინაგაში“. მის მიერ განსახიფრებული ინდერ ჩვენი თეატრის შესანიშნავი მონაბოფარია. ნიჭიერად, თავისებულად გაართვა თავი მომღერალმა როლის დრამატულ სიღრმეს, მისთვის ახალ გამოშვებულ ხერხებს, განსაკუთრებით მამაგრ ფსიქოლოგიურ რეჩიტატივებს; მათი გადაჭრისას იოლ გზაზე არ დამდგარა და არ დაუკარგავს ვოკალური ელემენტის უპირატესობა. ეს განსაკუთრებით საგონიბო ვახდა მამინ, როდესაც ამ როლში მოვისმინეთ ჩვენი მომღერალი ლიბეომირ გავლაკი, რომლის შეერულებამაც აშკარად სჭარბობდა ვაადილებული დეკლამაცია. ამ პარტიამ ნ. ანდლუაშის საგრძობლად გაუფართოვა სამემსრულებლო დიამაზონი, უფრო მოქნილი ვახდა იგი და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამით ახალგაზრდა მომღერალი უფრო დაოსტატებული შეხვდა რადამესის მწელ პარტიას, რომელშიც მან ისევე, როგორც ახვაფარიძემ, წარმატება მოიპოვა.

ასევე შეიძლება ვიფიქროთ, რომ „კრუტინაგაზე“ მუშაობამ საკმაოდ მოამარა და შეამზადა ნიჭიერი მომღერალი თენგიზ მუშუკლიანი ბორის გოლუნივის უროულესი პარტიისათვის. მუშუკლიანმა უკვე მოასწრო ბანის მინიშნულიოვანი როლები განხორციელვდა, საფუცილიანად ეუფლება სრულად სხვადასხვა ხასიათის პარტიებს ქართულ (როგორც ძველ, ასევე ახალ), რუსულ, ფრანგულ, იტალიურ ოპერებში. მომღერალი მტკიცედ ართმებს თავს ახალ და რთულ სამემსრულებლო ხერხებს, მათ შორის თანამედროვე ევროპული ოპერისას, რაც აშკარად გამოჩნდა „კრუტინაგაში“. მუშუკლიანი დღეს მომღერალთა კოლექტივის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია. ბანისათვის საოცრად „მჭბუკური“ ხმა, ბანისაცვე შესატყვისი მოხდენილი გარეგნობა, ხელოვნებისადმი უღარესად პროფესიული დამოკიდებულება — მუშუკლიანის ეს თვისებები მეტყველებენ მის ფრიალ საიმედო პერსპექტივებზე.

მუშუკლიანთან ერთად მაქსიმალური დატვირთვით მუშაობს მეორე ახალგაზრდა მომღერალი — ბანი ირაკლი მუშანი. საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ იგი სუხონის ოთხივე ახალ დადგმაში მონაწილეობს. მისი ხმა ძლიერად და კომპაქტურად ფერის, მაგრამ ზოგჯერ დახშული ხმით, რაც უთაყობილოდ მოქმედებს დიქციაზე. ეს ეტყობოდა „არსენაში“, სადაც ზაალის პარტიის სატირული კოლორიტი მომღერალმა საგრძობლად გააუფერულა. დიდი ზრდა აჩვენა მომღერალმა „დარეჯან ცბიერიში“. გიორგი მეფის პარტია მან შესარულად დრამატული განცდით, კარვად ამოკითხა ინტონაციური „ქვეტეტეტები“. ბანის რეპერტუარის უნარიახად ეწვევა მდიდარი ხმის მქონე პეტრე თომაძე, რომელიც დღეს უკვე მომღერალთა „საშუალო თაობაშია“ გაღასული. ამ სეზონში პ. თომაძემ შექმნა ქართველი გლების გაბრიელის დარბაისლური და შეინარსინა სახე („არსენა“).

ახალგაზრდობა მტკიცედ იკავებს ადგილს კოლექტივის ყველა მთავარ რეკლში. კარვა ხანია პოპულარობა მოიპოვა შოთა კიკნაძემ (იგი დღეს „უფროს ახალგაზრდებს“ მიეკუთვნება) თავისი მწვენიერი ტემპრის, პირველბარისბოვანი ლირიული პარტიებით, და შემთხვევითი არაა, რომ მას სავასტროლოდ იწვევენ ჩვენი დიდი ქვეყნის გარეთაც. სეზონში პირველად შესარულა გოჩის როლი „დარეჯან ცბიერიში“ და შექმნა მგოსნის კეთილშობილური და ამადლუაშის სახე. დიდი წარმატებით ასრულებს დრამატული პარტიონის პარტიებს ედიშერ მირიანაშვილი. მას აქვს მაღალი რანგის კომპაქტური ხმა, და მწვენიერი მუსიკოსია.

საიმედო მდგომარეობაა ლირიული ტენორების მხრივაც. სწრაფად მიიპყრო



ლ. გოგორიძე — დარეჯანი (დარეჯან ცბიერი)



ნ. ტელულში — ცბია (დარეჯან ცბიერი)





ა. მურადოვა — დარეჯანი  
(„დარეჯან ცბიერი“)

საზოგადოებრიობის ყურადღება თინჯო ზაალიშვილმა, რომელიც მტკიცედ შეიღწა რეპერტურში. გულთბილი გამოძახილი ხვდა მის გამოსვლას მაღალანობის როლში; მოწონება ჰპოვა მისმა სასიამოვნო ხმამ, სიმღერაში ქართული სასიმღერო ორმანდებლის ფილიგრიანულმა და დაწმენდილმა შესრულებამ. მშვენიერი ვოკალური მონაცემები აქვს ამირან გაკუას. თეატრში მისი ნაშუაგებებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იუროდივის განსახიერება „ბორის გოდუნოვში“. თეატრს კვლავ დაუბრუნდა ხარისხიანი ლირიული ტენორი სერგო თორელი.

ახალგაზრდა მომღერალ ქალთა „წამყვანი ბირთვიდან“ ძირითად რეპერტურში სულ უფრო ხშირად გამოდიან ა. კუწნეცოვა, მ. ამირანაშვილი, ნ. ტულუში, ა. მურადოვა. შეუჩერებელი ზრდას ამჟღავნებს მედეა ამირანაშვილი — მუსიკალურად და სცენურად ძალიან ნიჭიერი და ექსპრესიული მომღერალი. გულშობიანი, ვატაცებული მუშაობა ეტყობა ყოველ მის როლში: ამ სეზონის ნაშუაგებებიდან ასეთი იყო მისი ნინო „არსენაში“. ოლგა კუწნეცოვა დღეს თეატრის წამყვანი მომღერალია. მშვენიერი ხმა და სცენური ვარგებობა, დაქვემდებარება მუსიკალობა და დახვეწილობა — აი მისი დამახასიათებელი თვისებები. წამყვანთა რიგში მტკიცედ ჩადგა და ეფუძლება ძირითად პარტიებს კარგა ხნის მქონე, სცენური და ტექმარამენტისანი ტ. მალიშვილი. იშვიათად ლაშა და ხავერდოვანი მეცო-სოპრანო აქვს არუაია მურადოვას. გემოვნებითა და მუსიკალით, ამასთან სცენური მიმზიდველობით არის აღზევდელი მის მიერ განახიერებული პარტიები. მათ შორის დარეჯან დედოფალი მელტორე ბალანჩივაძის ოპერაში. მაგრამ ამ როლში მურადოვას აკლია ექსპრესიულობა, რაც განსაკუთრებით გამოიჩინა ლეილა გოცირიძის ძლიერი და მასშტაბური დარეჯანის გვერდით.

გაკუება და მასშტაბურობა ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა „ახალგაზრდების ვეტერანის“ ლეილა გოცირიძისა, რამაისაც მას თანაბრად უწყობენ ხელს თელასაინო ვოკალური და სცენური მონაცემები. მრავალმხრივი ზრდა ეტყობა მას თავის როგორც ძველ (ანერისი, ანა დარკი), ასევე ახალ (დარეჯანი) როლებში. მსახიობმა ამოსწავლა თეატრის რეპერტურის (მეცო-სოპრანო) და ბუნებრივია, რომ ასეთი მომღერლების მყოფ თეატრს დიდი მოთხოვნილებები წაუყვებოთ რეპერტუარის გაფართოების მხრივ!

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება ახალგაზრდა მომღერლებზე, მაგრამ აქ შეგერდეთ.

### ორასობრი უფრო მაღალ დონეზე უნდა იდგას

თეატრის ორკესტრმა ამ ბოლო დროს არაერთხელ დამტკიცა, რომ მას შესწევს მაღალმატარული შესრულების უნარი. იგი ძლიერი მუსიკალური შესაძენად და დეკადის სამზადისიდან მოყოლებული განსაკუთრებით შეივსო ნიჭიერი ახალგაზრდობით. მაგრამ ორკესტრის დავკრის ხარისხი მეტად არა-სტაბილურია. არის სპექტაკლები, როდესაც ორკესტრში შეიკრებოდა მაღალი რანგის კოლექტივი. მაგრამ ასეთი შემთხვევა საშუალოდ იშვიათია; უფრო ხშირია, როცა ორკესტრი უკრავს მიუტყვევებლად უწესრიგოდ და ტექნიკურად სუსტად, როცა ადგილი აქვს საკრავთა უსუფთაო და უხერხულ წამოყვარებებს და ცალკეულ ჯგუფებს შორის დაცული არ არის ელემენტარული კონტაქტი. ამ გაკრებებსაც თავისი „ტრადიცია“ მოსდევს. დიდი ხანია, თითქმის ევერე ნიქელაძის შემდეგ, არც ყოფილა ისეთი შესამჩნევი პერიოდი, რომ თეატრის ორკესტრი ასე თუ ისე ხანგრძლივად მდგარიყოს მოწოდების სიმაღლეზე და იხარისხებდეს სტაბილურ დონეს. რა ვასაკვირია, თუ ეს უარყოფითად მოქმედებს სპექტაკლების საერთო ხარისხზე. ორკესტრს სათავეში უდგანან ფრიალ ნიჭიერი და ტექმარამენტისანი ოსისეი დიმიტრიადი (მთავარი დირიჟორი), მკაფიო სადირიჟორო „ხელით“ აღჭურვილი, უკომპრომისო და მოთხოვნი ხელოვანი დიდი მირცხულავა, რომლის სპექტაკლები მაინც გამოირჩევიან შედარებითი სტაბილურობით; თეატრში მეტწილად მუშაობს გამოცდილი და ენერგიული დირიჟორი ვახტანგ ფლამაშვილი. ასე რომ ორკესტრის აშკარა მდგომარეობაში არ უნდა ყოფილიყო. აშკარად იგრძნობა, რომ ორკესტრს აქლია ანტიკატორი მეთოდური მუშაობა. მუსიკალურმა ხელმძღვანელობამ ამ მხრივ მაგალითი უნდა აიღოს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრისაგან, რომელმაც ამ ბოლო დროს ძირეულად გარდაქმნა თავისი მუშაობა და მაღალი სტაბილური დონეს, არ შეიძლება არ ითქვას ის, რომ თეატრის ორკესტრი მოკლებულია ზრდის სათანადო სტიმულს. აშკარაა, რომ ორკესტრის უხერხელობა სულ ერთი და იგივე ოპერების დავკრა, თეატრის რეპერტუარს კი საშუალოდ მაღლე იშვიათად თუ ემატება ისეთი კლასიკური ან თანამედროვე ნაწარმოებები, რომლებზედაც კოლექტივი გაიზრდებოდა. შესრულებლობა შემოქმედების შესაბამისად იზრდება. ახლის გარეშე კი ზრდა წარმოუდგენელია.

რეს. დამს. არტისტი შ. კინაძე —  
გოჩას როლი („დარეჯან ცბიერი“)



### ახალი დადგამის შესახებ

გასულ სეზონში თეატრმა მხოლოდ ოთხი ახალი საოპერო დადგმა მოგვცა, მაგრამ ოთხივე მათგანი პრინციპულად იყო შერჩეული იმ მთავარი კუთხიდან.

რომლიდანაც თეატრის რეპერტუარი ესოდენ საჭიროებს შევსებას. ეს არის — ეროვნული ოპერები და თანამედროვე საოპერო დრამატურგიის ნიმუში.

მოუთმენლად მოელოდა ჩვენი საზოგადოებრიობა ალექსანდრე ბუკიას ოპერის „არსენას“ დადგმას. დიდი ენთუზიაზმით მოუმაზდა მასზე თეატრის კოლექტივი. ძალიან კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა მისი ნ. წყვეტილი — ისინი ყურადღებას იქცევდნენ იმ თვისებებით, რომლებიც საერთოდ დამახასიათებელია შესანიშნავი საპავაგო ოპერის „დაუპატრივებელი სტურბრის“ ავტორისათვის. ეს არის მუსიკალურ-თეატრალური სახეების მახვილონირებული გამოკვეთის უნარი, ამასთან მუსიკის მღერადობა და სიწრფეველი. მარტოაც ოპერაში ვგვიხსენივს კუჭატნელის კოლორიტული ფიგურა, რომლის შექმნის კომპოზიტორი და ლირებისტები (ს. ზაქარაიძე და გ. გაჩეჩილაძე) მოეროდნენ ტრადიციული „ბოროტი ნიღაბის“ მოცემას და ეს სახე დატვირთეს „მოკვდავი ადამიანის“ ლირიული განცდებით. სხარტად, მსუბუქი სატირით არის მონახული ზეალ ბარათაშვილის ხასიათი. ლირიკული შოტივი შეიტანა კომპოზიტორმა ფა:რსადანის პარტიაში, რითაც ხაზი გაუსვა მის ადამიანურ გარებნას და ტკივილებს. ამით გარდა, ოპერაში აქა-იქ იღვებენ სხვადასხვა მოქმედ ბიზა სურათოვანი ჩანახატები: წრფელად და მწლოდიურადაა გადმოცემული არსენასა და ნინოს ლირიკული ხაზი. კიდევ აღვნიშნავ ა. ბუკიას ერთ კარგ მუსიკალურ-დრამატურგიულ მონაფიქრს. მთავარი მოქმედი პირობის ინველიც, ორი სოციალური ბანაკის შესაბამისად, კონცენტრირებულია ორი ძირითადი ინტონაციური სფერო. ზაღისა და კუჭატნელის ბანაკი დებსათებულა ქალაქური „მგრძნობიარე“ ინტონაციებით; არსენასა და ხალხის ასსხეულ მუსიკას საფუძვლად უდევს მარღვმეგარი გლეხური სიმღერა. ეს დაპირისპირება ზნება თვისდანვე, რითაც შექმნილია მკაფიო მუსიკალური ექსპოზიცი.

მაგრამ ოპერაში ვერ გაიმარჯვა ისე, როგორ განაცხადსაც წინასწარ იძლეოდა. პირველ ყოვლისა, მგრთალი და უმოქმედოა ოპერაში თვით არსენა. მას სცენიდან აღვიქვამთ დეკლარაციული ფრაგმენტების სახით. მისი სახე არც მუსიკაში ვანიციდის საჭირო განვითარებას. არსენას მუსიკალურ პარტიაში, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის თითქმის სტოვანი ინტონაციური ვასალებია ნაშოენი, არ მოიპოვება ისეთი საყრდენი მომენტები, რომლებიც მუსიკის საშუალებით ვვაგრძობინებდა ქართული ხალხის ამ საყვარელ გმირს: თავის თავად კარგი ეპიზოდი, როგორცაა არსენას არია-ურზული I მოქმედებაში, ლირიკული განშტოება და გმირის მთავარ პორტრეტს არ იძლევა. ა. ბუკიას მგენკრად გრძნობს ფოლკლორულ სურნელებს და ძლიერია ოპერის სწორედ ის მომენტები, რომლებიც გადაწყვეტილია ფოლკლორული სიმღერებით (თვით პერიოდიც) და კოლორიტული საშუალებებით. საკლებ შთაბეჭდილებას სტოვებს ის ადგილები, რომლებსაც აქვს პრეტენზია სახალხო-სოციალურ დრამაზე.

იმ დრამატურგიულმა ხარვეზებმა თავისი დიდი დამჩნიეს წარმოდგენასაც. ოპერა დაღდა სამჭოთა კავშირის სახალხო პრტისტმა სერგო ზაქარაიძემ. ეს არის მისი დებუიტი საოპერო რეისურაში. შზადების პროცესში რეისურაში სპექაკლის მონაწილეებთან საფუძვლიანი და საინტერესო შრომა გასწრა, მსახიობებთან და ცალკეულ სიტუციებზე მუშაობისას გამოავლინა ორიგინალური ფანტაზია და მუსიკალური ტექსტის ნიჭიერად წაკითხვის უნარი. სამაწუხაროდ, სანტრერესო და თვისებურად მახვილონირებულმა ჩან. ფიქრმა განაღდედა მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებში მხოლოდ და სპექტაკლში ბევრი არ დღიარება.

შთაბეჭდავად არის დადგმული არსენას მოკვლის სცენა და მომდევნო სახალხო სცენა (გარდა აპოთეოზისა). ძლიერ სცენურ მომენტებს მიეკუთვნება კუჭატნელია და ნინოს ექსპრესიული მიზანსცენები: განსაკუთრებით კი I მოქმედების დიდი მასობრივი სცენა: აქ მოშაირე არსენას უერთდება გლებობა და ქაზრდის სცენა ისეთ დინამიზირებას ვანიციდის, რომ შეიგრძნობა ამბოქტრებული ძალა — მასა, რომელიც მზად არის გაჰყვეს არსენას. მაგრამ ყველა ეს მხოლოდ ფრაგმენტებია.

ვერ მიიღო სხარტი და ფექტიანი სცენური გამოხატულება და მაყურებლად ვერ მივიდა შიშვნელობა იმ სცენისა, როდესაც ჯოხცხენებზე გადამხარო მწეწმში ბიჭები თამაშობენ „არსენობას“ და ჰყვიბიან ხალხობრი „არსენა და ქ.ს.“ მომენტს. — თუ როგორ დაარბია არსენამ თორმეტი ცხენისანი ყაზხა. ეს მომყავს როგორც დამახასიათებელი მავალითი და აქ ამა თუ იმ ეპიზოდის ვარგისიანობაში როდია მარტო საქმე: ამჯვარ მომენტებს ოპერაში აქვს დრამატურგიული პრეტენზიაც — ფოლკლორის როლის „ორიგინალური სცენური წარმონახვით შევსოს თვით არსენას სახე. როგორც ჩანს, ამჯვარი მომენტების „ფუნქციონალურ“ შიშვნელობაზე ავტორები გარკვეულ იმედებს ამყარებდნენ, და ეს რომ არ გამოვიდა, ამან დიდი დამჩნია არსენას სახეს და ერთგვარი საძირკველი გამოაცალა მას, ასევე მთლიანად დრამატურგობას. სრულ ეფექტი ვერ გამოიღო ფინალის ჩანაფიქრმა — როდესაც არსენას ცხელა-



რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბ. კრავიშვილი სცენის რაღმის „ტოსკა“

სცენა ოპერიდან „ტოსკა“ ტოსკა — მ. ჰენიგ-ვაგნერი სცენა — ა. რაიზენბლიტი





ვ. შუშინი — მეფე გიორგი  
(„ღარჯუან ციხერი“)

რი ხალხს ხელიდან ხელში გადააქვს და უკვდავების ძეგლს უდგამს. მომენტში საინტერესოდ არის გაკეთებული ბაზრის სცენა, მაგრამ ძირითადად იგი ვერ აცდა ტრაფარეტს. ძალზედ სუსტია და ვულგარიზებული როგორც ნაწარმოებში, ისევე სცენაზედაც ზაალის სასახლის დარბაზისა და ხალხთან არსენის კომფლიტის სურათი. ეს სცენა, რომელიც უნდა ყოფილიყო არსენის დარბაზის კულმინაცია, მხოლოდ გაუკვეპრობას იწვევს. საერთოდ, მთელი ეს საკანონო სცენა საჭიროებს ხელმოკრედ დაწერას. ვერ აღმოჩნდა თავის ჯეროვან სიმალეზე მაღალნიჭიერი მხატვარი ვ. ლაპიაშვილი.

ღირსი გიორგი ზ. ბუროძე უნარბიანად მართავს სპექტაკლის რთულ საშემსრულებლო „აპარატს“, მაგრამ მუსიკის ინტონაციური სახოვანების მხრივ მას ბევრი რამ გაუხსნელი დარჩა.

თავს „არსენა“ საჭიროებს საფუძვლიანი მუსიკალურ-დრამატურული რედაქტირებას. ამ რედაქტირების მთავარი მიზანი კი უნდა იყოს არსენის სახისა და მისი განვითარების ხაზის რელიეფური გამოკვეთა. ამის ვარჯიშს ოპერა უბერსპექტივით იწვევს. ნაწარმოებს კი გააჩნია უეჭველი დირსაბეზი და იგი იმსახურებს იმას, რომ მასზე გაგრძელდეს მუშაობა მისი სრულყოფის მიზნით.

კარგი სპექტაკლი გამოვიდა ვ. გოციელის „წითელქუდა“, რომელიც დიდი წარმატებით სარგებლობს ნორჩ მსახურებლებში (ლიბრეტოს ავტორი გ. აბაშიძე. ოპერას ღირსი გიორგი ვ. ფალაშვილი, დამდგმელია გ. გაჩეჩილაძე და უ. დარჩია, მხატვარი — ი. ასკურაძე. დადგმის სამხატვრო ხელმძღვანელია გ. ტაბლიაშვილი). ვანო გოციელის მუსიკა მელოდიურია, მისაწვდომი და საკმარისად სახოვანი; დამაჯერებლად და ცხადად აისი დახასიათებული მოქმედი პირები. თუმცა იგი არ შეიცავს რაიმე საგრძნობ სიხალეს და მასში საბავშვო სამყარო ვერ არის აყვანილი მშვენიერების მაღალ პრობლემაზე.

ქ. სუხონის „კრუტინავას“ დადგმა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი მოვლენაა. თბილისის თეატრმა პირველმა საბჭოთა კავშირში განახორციელა თანამედროვე სოვიაკული კომპოზიტორის ამ ფრიად საინტერესო ოპერის დადგმა. ამასთან თეატრმა, როგორც იქნა, გადადგა ნაწილი თანამედროვე მსოფლიო საოპერო ხელოვნების ნიმუშების ათვისებისაკენ. ამ სპექტაკლის დადგმა კი თეატრის კულტურაზე ბრწყინვალედ დამტკიცა, რომ მას საესკეზით შესწევს ახალი საოპერო შემოქმედების სცენური განხორციელების, მასთან დაკავშირებული სირთულეების, უცნობი საშემსრულებლო ხერხების დაძლევის უნარი.

სპექტაკლის მონაწილეებმა და დამდგმელებმა (ღირსი გიორგი ი. დიმიტრიადი, რეჟისორი მ. კვალაშვილი, მხატვარი კ. ქუჭულაძე, ცეკვები დადგა ბრატისლავის ნაციონალური თეატრის მთავარმა ბალეტმეისტრმა მილან გერცენმა) მარჯვდ გაართვეს თავი ამ სირთულეებს. „კრუტინავამ“ თეატრს შესამჩნევი ზრდა მოუტანა.

ათი წელიწადია, რაც მელიტონ ბალანჩივას ოპერა სცენაზე აღარ გვიხანავს. მანამდე, ორ ათეულ წელზე მეტი. „ღარჯუან ციხერი“ ჩვენს თეატრში მიიღოთ ალექსანდრე წუწუნავას დადგმა. ალ. წუწუნავამ რამდენიმეჯერ დადგა ეს ოპერა და მისი სცენური გადაწყვეტის ტრადიცია მტკიცედ იყო დამკვიდრებული ზ. ფალაშვილის სახელობის თეატრში. წუწუნავას სპექტაკლი გამსჭვალული იყო სიმართლით და ნამდვილი ხალხური უშუალობით; ღრმა ერუდციით, გამოვებით იყო აღბეჭდილი მასში ისტორიულ-მატერიალური კულტურის დამახასიათებელი ნიშნები. სხად, დინამურად ვითარდებოდა მოქმედება, რომლის ყოველი მომენტი დიდის სიზუსტით ეხამებოდა მუსიკის ხასიათს.

ბ. კრავიცივილი — გოჩა  
(„ღარჯუან ციხერი“)



ვახტანგ ტაბლიაშვილს პირველს მოუხდა წუწუნავას შემდეგ ამ ოპერის დადგმა. ბუნებრივია, რომ იგი შეეცადა ახლებურად გადაეწყვიტა „ღარჯუან ციხერის“ სცენური რედაქცია და მთავარი გეზი აიღო ოპერის დრამატურუგის საკომფლიტო მომენტების გამაზვილებაზე. ამ მხრივ რეჟისორული ჩანაფიქრი ყველაზე მეტად გამოჩნდა I მოქმედებაში (რომელიც რეჟისორმა 3 სურათად დაქაო). კონფლიტური სიმძაფრე შეიცარებოდა ფარდის ახლისთანავე; უკვე კონტრასტული სცენური ვანაგების სტატეიური სურათიც გვაგრძნობინებს ამას: სასახლის ეზოში ჩოჩოლია, დიდებულნი და ბანოვანი სცენაზე გაყურებენ უსართის თამაშს; მათაც მკვეთრად გამოეხილა მეგონი გოჩა, რომელიც გაქვევებული დვას და არ ეხმარება საერთო განწყობილებას — აქ ბურთაობით ერთობიან, იმერეთი კი აღვირახსნილი დელიფლის წყალობით ვაპარტახებასა და უბედურებას განიცდის! მასხარა წამოისყვის გესლიან „პოლიტიკური“ შაირებს, მაგრამ სასახლეში შიში სუფევს და ყველანი გაურბიან „შემოჩენილ“ ხუმარას. რჩება მხოლოდ გოჩა და მასხარას უხმოოდ დაანახებენ დელიფლის წერილს. მასხარაც შეთქმულების მონაწილეა. შემდეგ სცენა — შეთქმულება სასახლის გაბზარულ კედელთან (აქ მხატვრობა სიმოლორად მეტყველებს); მოქმედება კი მთავრდება სასახლის განაჩხებულ დარბაზში: პოპაზური ვითარებაში ავილდოვებენ ბურთობაში გამარჯვებულს. დამახასიათებელი კონტრასტია წინა სურათის გაბზარულ კედელთან. საერთოდ კონტრასტები, სხვადასხვა ფორმით გამოხატული, დამახასიათებელია ამ დადგმის



მიუღი I მოქმედებისათვის, რომელიც აღიქმება, როგორც ნიჭიერი მომთხრობელი, სახოხანი და შიამშიკვლივი ექსპონატია. მაგრამ ეს ექსპონატია არის განსაკუთრებული მძაფრ კონტრასტზე აკუმულირებული. მისი მნიშვნელოვანი სახალხო დრამაზე, სინამდვილეში კი ოპერის არც მუსიკა და არც დრამატურგია არ იძლევა ამის საფუძველს. ამიტომ რეჟისორი ვეღარ ახერხებს ადრეულად გვიხს და ცხენური ფორმის შემდგომ განვითარებას, რაც საკუთარი ბუნებრივი და საბოლოოდ, მის დადგამაში ყველაზე საინტერესო ექსპონატიურ მონაფიქრად ვერ პოულობს „მიწაზე“ დასაყრდენს. მაგრამ სპექტაკლს საერთოდ აქვს ისეთი ხატო-რეჟისორი ვეღარ ახერხებს ადრეულად გვიხს და ცხენური ფორმის შემდგომ განვითარებას, რაც საკუთარი ბუნებრივი და საბოლოოდ, მის დადგამაში ყველაზე საინტერესო ექსპონატიურ მონაფიქრად ვერ პოულობს „მიწაზე“ დასაყრდენს. მაგრამ სპექტაკლს საერთოდ აქვს ისეთი ხატო-რეჟისორი ვეღარ ახერხებს ადრეულად გვიხს და ცხენური ფორმის შემდგომ განვითარებას, რაც საკუთარი ბუნებრივი და საბოლოოდ, მის დადგამაში ყველაზე საინტერესო ექსპონატიურ მონაფიქრად ვერ პოულობს „მიწაზე“ დასაყრდენს.

**დაძაპყაფიღებელია წარმოდგენის მუსიკალური დონე** — მას სწორად უძღვება დიორიონი მ. ბორჩხაძე, რომელმაც არსებითად იცავს ამ ოპერის საშემსრულებლო ტრადიციებს. მ. ზალანდიაძის ხალასი, კრისტალიური სილამაზის ანაღლებული მუსიკა ჯერის ბუნებრივად, უშუალოდ, ქართული რეპერტუარის საგალოდ მდგომარეობის შესახებ შეჯერებული თქმულა. ოპერის აპირებეს არილ ქერ-სელისძის ოპერა „მახა აჩუკის“ ახალი რედაქციით აღდგინა, რაც სავეებით დროულა. გადაწყვეტილია ოთარ თვალრამის ერთატილი ოპერის „ლეგენდა თბილისზე“ დადგმა. იწერება ახალი ოპერები, მაგრამ ეს მომავლის საქმეა. ერთდროულად საოპერო მეგეტიდრობიდად საქართველოს არ არის „დარჯჯან ცივირის“ აღდგენა. საქართველოში მეგეტიდრობის ათვისებაც, ამ 20 წლის მანძილზე ქართული სამოთა კომპოზიტორების 20-მდე ოპერა დაიდგას. ფილიას სასურველია, რომ ოპერის კლავე დამოუკიდებლად ანათავან საუკეთესო ნიმუშებს, როგორცაა მ. მშველდის „ამაგი ტატილიას“, ა. ანდრიაშვილის „კაქო ყაჩაღი“, გ. კილაძის „ლალი ციციშვილი“, იმუშაოს მათ ახალ რედაქციებზე, რომ ამით შეივსოს ეროვნული რეპერტუარი. ამის შესახებ უკვე ბევრი ოქმება, მათ შორის ყურნალ „სამუშაო ხელეფიების“ ფურცლებზეც.

**რამბრდარის შსახახ**

ჩვენს საზოგადოებრივობაში, ბრესაში თუ საღისკუსო ტრიბუნებზე არაერთხელ გამოთქმულა საყვედური წ. ფალაშის სახელობის ოპერის მინიორ მისი საოპერო რეპერტუარის ერთფეროვნების მიხედვით. სულ უფრო და უფრო საკრძომი ხდება ის, რომ რეპერტუარის საკითხი თბილისის საოპერო ოპერის ყველაზე სუსტი მხარეა.

ქართული ოპერების შესახებ ზებით გწერილ. წერილის ამ მონაკვეთში ვილაპარაკოთ რუსული და დასავლეთ-ევროპული ოპერების მდგომარეობაზე ჩვენს ოპერებში; ვიმსჯელოთ იმ სარეპერტუარო ბირთვზე, რომელიც უნდა მოიკავდეს მსოფლიო საოპერო შემოქმედების მეფეებზე, რომელთაც ესოდნ ღიღი მხმუნებოდა აქვს ყოველი საოპერო თეატრისათვის, მისი მხატვრული პროფილისა და თუნდაც ავადმყოფი ზრდის თვალსაზრისით.

რუსული და დასავლეთ-ევროპული ოპერების რეპერტუარი ჩვენს თეატრში ძალზედ შემოვიარგულია. უმარტებულ ოქმებზე რომ ეს თეატრის ახლადღილი ხელმძღვანელობისათვის გადაგვეტრალებინა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ოპერის ხელმძღვანელობის ბოზიკია არსებული მდგომარეობის გადალახვის გზაზე ჯერჯერობით სანამოდ პასუხია. „კრეტნიაცის“ დადგამა ამ ბირთვ ღიღი მხმუნებოდა აქვს, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა და მისი მნიშვნელობა უფრო გაიზრდება, თუ იგი თეატრის ცხოვრებაში ეთნოლოგი ვიწინად არ დარჩება და მას მოჰყვება თანამედროვე საოპერო შემოქმედების სხვა საუკეთესო ნიმუშების დადგმა.

რეპერტუარის ამავე შემოვიარგულებს თბილისის საოპერო თეატრში თავის ღრმა „ტრადიციის“ აქვს. აქ საქმე გვაქვს მიუღ პროცესთან, რომელიც დაახლოებით სამი ათწლეული წლის მანძილზე გრძელდება. ხანს ვუსვამდ სამ ათწლეული იმის დასახებ, რომ სწორედ 30-ანი წლებიდან დაიწყო რეპერტუარის შედარებითი სტაბილიზაცია. თეატ-

რის ცხოვრების მამინდელ ეტაპზე ამს თავისი გამართლებაც ზაც ჰქონდა. თეატრის მხატვრულ ცხოვრებაში ხვედრები მძაფრული ვარაუდებაც; ბირველ ყოვლისა, იმ დროს, ჩამოყალიბდა თეატრის მემორი, სტაბილური კოლექტივი, რომელიც წარმართავდა მუშაობის ძირითად გეზს. ცხოვრობდა, რომ ვერ კიდევ 20-ანი წლების დასწვრივ თეატრის სეზონები ძირითადად ემყარებოდნენ მოწვეულ გასტროლიორებს; მათზე ბევრით იყო დამოკიდებული თეატრის რეპერტუარზე.

საკასტროლო სისტემას, რა თქმა უნდა, თავისი დადებითი მხარეები ჰქონდა: თბილისის საზოგადოება ისმინდა საოპერო სევენს გამოჩინო ოსტატებს, საოპერო სეზონები მეტად მრავალფეროვნით იყო და ეს უწყველად საოპერო თეატრისადმი განსაკუთრებულ ინტერესს. გასტროლიორების ჩამოსვლასთან დაკავშირებით მრავალფეროვნობა იყო თეატრის რეპერტუარიც — ბშირად რომელიმე გამოჩენილი მომღერლისათვის სახელდახელოდ იდგებოდა ესა თუ ის ოპერა. ეს რა თქმა უნდა, ვაცუნებს ახდენდა სპექტაკლების მთლიან მხატვრულ ხარისზე და თავისთავად ცხადია, რომ ღღეს ავადმყოფი თეატრისათვის ამავერი სასტეკაკლები სრულიად წარმოუდგებელია. ასე რომ, თეატრის ძირითადი კოლექტივის შექმნამ და ვახანტიცივამ, მისი შემოქმედებითი სახის თანდათანობითმა ჩამოყალიბებამ თავისთავად დასახა წარმოდგენების მთლიანი მხატვრული დონის, ოპერების დადგმისათვის ბრინციკულ მდგომარეობის გარდაქმნის საჭიროება. ამას კი ბუნებრივია რომ უნდა მოჰყოლოდა გარკვეულ ეტაპზე რეპერტუარის რაოდენობრივი შეზღუდვა.

**მაგრამ რეპერტუარის სტაბილიზაციამ, რომელიც გარკვეულ ეტაპზე პრიციპულიად გამართლებული იყო, ღრმითა ვახამლებოდა მიიღო კოსმორავიის ხანათა.**

მიგმართით ფაქტებს. რუსული ოპერებიდან ამ 2-3 ათეული წლის მანძილზე განუწყვეტელი იდგება ჩ.იკოვსკის „ევეგილი ონგინი“ და „ბაიუს კალი“. დასავლური კლასიკიდან აქვე მუდმივ მიღის იგებს სევენა ვერდის „იდა“, „რიგოლეტო“ და „ტრაჯიკატ“, მიზუს „კარმენი“, რონისინ „სევილილი დალიკა“, ჰუნის „ფაუსტი“, ჰუჩინის „ტრსკა“ და „ჩოჩი-ბო-ნანი“. ეს ნაწარმოებები მართლაც კეთუნიან ყველაზე პოპულარული და „პირტატიული“ ოპერების სევენის; იმითაია მოხლოები, რომელიც ამ ოპერებში არ მწეროღებს, ამატომ ბევრი საოპერო თეატრი ღიღ ყურადღებას უთმობს მათ. თბილისის თეატრი კი იმითაია სეზონი, რომ ეს ოპერები არ იდგებოდეს.

ამ ოპერებს ჩვენი თეატრი არამც თუ იახახა მუდმივ რეპერტუარში, არამედ ბშირად ანხორციელებს ცალკეული მათგანის ახალ დადგმას და ამით ძტკიცედ იმარტუნებს თავისი რეპერტუარის ძირითად ბირთვს. მაგრამ სანაწარმოად ჩვენი თეატრი ამ დღი ხნის მანძილზე საკლებად ცდილობს ამ ბირთვის“ გზრდას!

კოლორიტულია ცქციები (დაღმა — ხელოვნ. დასმ. მოღ. დ. ჯაფარიშვილის და რეს. სხვ. არტისტის ზ. კიკელიშვილის), განსაკუთრებით სამია II მოქმედებაში (ეს ცქცეა ოპერის პარტიტურაში არ არის; ემოციური კონტრასტისათვის იგი შეიტანეს ახალი დაღმის ავტორებმა. ნომერი ვაკუუმებულია ამავე სურათის ქალთა გუნდის მასალაზე).

რამდენიმე სიტყვა შემსრულებლებზე. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს რეს. სხვ. არტისტი ლეოა გოცირიძე დარეჯანის როლში. მან შესანიშნავად გადმოცა ციბირი, პატრიონიყვარე დედოფლის სახე. მისი მდიდარი ხმა ჟღერს სავსედ, თანაბრად ყველა რეგისტრში. დიდი ტემპერამენტით ასრულებს იგი არია — მონოლოგს II მოქმედებაში („როგორც რომ მთვარე თუთუმიღი ღღისა“). თანაბრად კარგად გამოუღის მომღერალს როგორც არის ბირველი — რეიტატიული ნაწილი, ისე მეორე — კანტილენური. განსაკუთრებით ძლიერია იგი გოჩასთან სცენაში.

ლ. გოცირიძის მეტად მგზნებარე, ტემპერამენტისანი შესრულების გვირგვინი, შედარებით უფრო ღირსიღად გამოიყოფა დარეჯანის როლში ა. მურადიძე. მომღერალს აქვს ლამაზი, „თბილი“ ტემბრის ხმა. იგი მიმოიღვევლია სცენურადაც. ამ როლში კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს აგრეთვე ნიჭიერი მომღერალი ტ. მასალიძე.

გოჩას როლი მიწვევდა ასრულებს რეს. დამსახ. არტისტი შ. კიკაძე. მან უშუალოდითა და გულწრფელობით დავეხატა კეთილშობილი მგოსნის სახე. მომღერლის ლამაზი, ზავიერღანი ტემბრის ხმა მეტად უხდნა გოჩას ამაღლებულ ბოეტურ სახეს, მის რობ კანტილენურ პარტიას. სცენურად მისი გოჩა დინჯი, კეთილშობილი, სამშობლოს კეთილდღეობისათვის თვდაღებულ გმირია, რომელიც ნიშლით უარყოფს დედოფლის წინადაცებას. მომღერლის შესრულებაში დასამახსოვრებელია ამ პარტიის ცენტრალური ნომრების — I მოქმედების და განსაკუთრებით IV მოქმედების არეების შესრულება. აქ სრულყოფილად ვლინდება მისი უტყუარი ვოკალური მონაცემები.

დიდი ტემბის ღირსია ახალგაზრდა მომღერალი ნოდარ ჯაფარიძე. მან პირველად შესარულა გოჩას პარტია და უნდა ითქვას, რომ მშვენიერადაც დასძლია იგი. 5. ჯაფარიძის ლამაზი, გამომსახველი ხმა და მომგებანი არტისტული გარეგნობა აქვს, ამავე ღღის იგი სცენაზე და პარტიონორის კარგი გრძობით გამოიჩინა. დაწინაურებული ვარო, რომ მასთან მეტი და დაკვირვებული მუშაობის შემთხვევაში, 5. ჯაფარიძისავე შეიძლება თეატრის ერთ-ერთი მოწინავე მსახიობი დადგეს.

კვლავ გამოავლინა თავისი მდიდარი ვოკალური მონაცემები მეფე გიორგის როლის შესრულებაში, რეს. დამსახ. არტისტმა თ. მუხომუდიანმა. მის მიერ შექმნილ სახეში ბედნიერადაა შეერთებული მოხდენილი არტისტული გარეგნობა, ხმის სილამაზე. მისი სიმღერა განსაკუთ-

რებით შთაბეჭედავია IV მოქმედების არიაში (ქართული დაკვირება, მგოსნის სიკვდილი“), სადაც კარგად გამოვეცხა მგოსნის შინაგან ტკივილებს. საგრძნობი წრმატება ხვდა ამ როლის მეორე შემსრულებელს ნ. შუშანიას, რომელსაც უფრო გმირულ ხასიათში მიჰყავს თავისი როლი. ნ. შუშანიას კარგი ვოკალური მონაცემები აქვს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანებში მის ხმას დაეცო ერთგვარი დაგუბული ჟღერადობა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს დიქციაზე.

ცირას როლში სამი მომღერალი ვნახეთ. ერთია რეს. დამსახ. არტისტი ე. ეპიტაშვილი, რომლის წყრილა ხმა, მუსიკალობა, სცენურობა კარგად ხსნის სეტყაი, სამშობლოსათვის თვდაღებულ ქალიშვილის სახეს. კარგია ამ როლში რეს. დამსახ. არტისტი ი. ფალიაშვილიც. ბოლო ხანებში მას საგრძნობლად გაუზარდა ხმა, ცენტრალური რეგისტრი უფრო კომპაქტური გაუხდა. მუსიკალობა და კარგი სცენურობა კი მას ყოველთვის შესაბამეა. ცირას შესრულება ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობის ნ. ტულუშის უუქველი წარმატებაა.

ნიკოს როლში ვნახეთ ს. თორელი და ვ. კანდელიაი. როგორც ვოკალური, ისე სცენური განსახიერებოიაც უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებს თორელი. ამ მხრივ, ნაკლებად გამოცდილია ვ. კანდელიაი, ახალგაზრდა მომღერალს ბრწყინვალე ვოკალური მონაცემები, შესანიშნავი დრამატული ტენორი აქვს, მაგრამ იგი ჯერჯერობით ვერ ავლენს თავის მდიდარ შესაძლებლობებს. იგრძნობა ერთგვარი შიში მალაი ნოტიისადმი, რაც საგრძნობლად მოუპავს მას სცენურადაც. მომღერალს განსაკუთრებული მუშაობა ესაჭიროება, რათა განთავისუფლდეს ამ „ფსიქოლოგიური“ შემოჭილობისაგან და სრულად გამოავლინოს თავისი უტყუარი მონაცემები.

ისტორიული კოლორიტის დაცვით ასრულებს მსახურთუხუცესის ნაქაშიძის როლს რეს. დამსახ. არტისტი ვ. ხამაშურიძე.

„დარეჯან ციბირის“ ახალი დაღმის ნახვის შემდეგ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით იმაში, რომ ოპერა თვით ავტორისეული მასალის საფუძველზე კვლავ საჭიროებს მუსიკალურ-დრამატურული რედაქციას. ამის სრული მორალური უფლება აქვს კომპოზიტორის შვილს, გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორს ანდრია ბალანჩიშვილს, რომელმაც მთელი სახელოვანი მამის სიციქულშვიაც გასწავა ამგვარი სარედაქციო მუშაობა და რომლისთვისაც „დარეჯან ციბირის“ მუსიკა მეტად ახლო და მშობლიურია. ქართული საზოგადოებრიობა ელის ანდრია ბალანჩიშვილსაგან ამ კეთილშობილური და პატრიოტული მნიშვნელობის შრომის ვაჟიყვას. მუსიკის ისტორიას აქვს ამის პრეცედენტიც, სახელდობრ, ყველასათვის ცნობილია, თუ რა უდიდესი ამავე დასო დიღმა რუსმა კომპოზიტორმა ნ. რიმსკი-კორსაკოვმა მთელს რუსულ ეროვნულ კულტურას, როდესაც მან ვალი მოიხდა თავისი გენიოსი თანამოსარგებლის მუსორგსკისა და ბოროდინის წინაშე და მათი სიკვდილის შემდეგ დიდი მუშაობა გასწავა მათი ობერების რედაქტირებასა და ორკესტრობაში.

„დარეჯან ციბირის“ ამგვარ რედაქტირებას საჭიროებს იმისათვის, რომ სრულქმნილი სახით იგი ისევე, როგორც „აბესალონი და ეთერი“, „დაისი“ და „ქეთო და კოტე“, დამკვიდრდეს თეატრის მუდმივ რეპერტუარში.






რსფსრ დამსახ. არ-  
ტისტი ნ. კურგააკინა  
და რსფსრ სახალხო არ-  
ტისტი ზ. ბრეგვაძე ას-  
რულუბენ გლუცის „მე-  
ლოდიას“.



**ნ. ჯურგაძის და ბ. ბრეგვაძის  
ბასტროლები თბილისში**

- სტრატეგია: 1. სენა ბალეტიდან „ლონ-კიზოტი“  
2. ბ. ბრეგვაძე ბაზილის როლში („ლონ-კიზოტი“)  
3. შტრაუსის „ვენური ვალსი“  
4. სენა ბალეტიდან „ლონ-კიზოტი“  
5. სენა ბალეტიდან „ბრინჯაოს მხედარი“  
6. ნ. ჯურგაძის კიტრის როლში („ლონ-კიზოტი“)  
7. ბ. ბრეგვაძე ასრულებს ცეკვას ბალეტიდან „კორ-სარი“





პრინცი ლეზიტე —  
საქ. სსრ სსპ. არტისტი  
ხ. ვიქტორიუშვილი, პრინ-  
ცესა აეროზა — საქ.  
სსრ სახალხო არტისტი  
ვ. წიგნაძე („მძინარე  
მზეთუნახვი“)

# ველური სილამაზის ხელოვნება

გივი მარუაშვილი, შოთა ესტაშვილი

„მშვენიერი არის სიცოცხლე... ჭეშმარიტი, უმაღ-  
ლესი მშვენიერება არის ის მშვენიერება, რომელიც  
აღმაშინ ხვდება სინამდვილის სამყაროში“.

ნ. ჩერნიშოვსკი

## 1. შ ა ძ ი ე ბ ე ლ ი თ ვ ა ლ ი

ვინ არ მოიხიბლულა საქართველოს ბუნებით, ვეფხის  
ტყავად გაფენილი მთა-გორებით, ხევ-ხუვებით, ბაღად გაშ-  
ლილი დაბლობებით, ქედებზე დევის ძარღვებით და ღვ-  
ლარქნილი ღარტაუებით, თვალაუწყებელი უსსკრუ-  
ლებით... ყველაფერს თავისებურად მომიხიბლავი, ღრმ-დ  
შთაბეჭდვები, ვახუშტორბელი, ორიგინალური სილამაზე  
ახლავს. ისინი გვიზიდავენ თავისი სინაზით, სინატაფით,  
სინორჩით, ჰარმონიული აღნაგობითა და ხელთუქმნელი  
შინაგანი ლირიკით.

სინაზის, სინატაფის, სითბოს, გვერდით გოროზის, მი-  
უჯარებლის, ცივი, მეფური ზვიადობის, თვალშუედამისა  
და მარადიულობის გახცადა! — სწორედ აქ არის სილამა-  
ზის ზემოქმედების, გაოცებისა და აღმადგრენის გასაღები.

ვინ არ მოუხიბლავს და აუმღერებია ამგვარ ბუნებას.  
სიხანლისა და უნახავის, არა მსკავისა და არა განმეორე-  
ბულის მაღიბელი თვალთა ტყვეს.

მრავალგვარია ბუნების სილამაზე და მშვენიერება,  
სხვადასხვაგვარი მისი ზემოქმედებაც, მისი განცდა და  
შეცნობა.

...ჭეშმარიტი შემოქმედი, ხელოვანი აღამიანისათვის  
დაუცხრომელი ძიება ისევე განუწყრელია, როგორც სუნ-  
თქვა ცოცხალი არსებისათვის და, რა წამს ეს ძიება შე-  
წყდება, წყდება შემოქმედებითი სიცოცხლაც.

ის შემოქმედება, რომელზეც ამ ნარკვევში მოვითხ-  
რობთ, როდი წარმოადგენს არაჩვეულებრივს, მაგრამ იგი  
პირველი ნახვითანავე გატყვევებთ როგორც ჭეშმარიტი  
ხელოვნება. თუ ვინმე დაექვდება, რომ აქ მოთხრობილი  
ხელოვნების სპეციფიკურ ბუნებას არ შეესაბამება, მან  
ისიც გაიხსენოს, რომ ყოველი ხელოვნება ხელობა-ხელოს-  
ნობით იწყება, რომელიც ხელოვნებად მაშინ იქცევა, როცა  
შესრულებას ღრმა ძიება, უსაზღვრო სიყვარული და დიდი  
შემოქმედებითი ოსტატობა ჩაეკსოვება.

## 2. შ თ ა ბ ე ქ ე ლ ი ე ბ ა თ ა კ რ ი ა ლ ო ს ა ნ ი

შთაბეჭდილება დროთა სრბოლას მაშინ უძლებს, თუ  
მის წარმოშობას თან ახლავს ღრმა განცდა. ამიტომ არის,  
რომ დიდი სიხარულიც და მწუხარებაც არ ავიწყდება კაცს  
და ზოგჯერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში თან გაჰყ-  
ვება. ბავშვობის წლებში ნახული არაჩვეულებრივი და  
განსაცვიფრებელი რამ ჭაბუკობისა და ხანდაზმულობის  
პერიოდშიც პირვანდელი სიცხოველით იღვიძებს.

არასოდეს არ დაავწყდებათ გიორგი და შოთა ჩლიპ-  
ძეებს ის პირველი სიხარული, რომელიც ერთ საღამოს  
მათ — მოგვუზუზე ბუხართან ჩამომსხდარ ბიჭებს, მამის  
ნაამბობა განაცდევინა.

— ამაღამ ადრე დაწყეთ, ხვალ უთენია სანადიროთ  
წაგიყვანთ, — უთხრა მამამ ბავშვებს.

სიხარულისაგან ბიჭებს არ ეძინებოდათ და საბანტქემ  
თეგარგულები ჩურჩულებდნენ.

— ნეტავი თოფს თუ გვასროლივს!

— აბა, როგორ, — ამბობდა უფროსი ძმა გიორგი, —  
მე კი მასროლივს.

ბიჭები ცდებოდნენ. გამოცდილმა მონადირემ, სოფლის  
მასწავლებელმა ივლიანემ ისინი დილით უხვეულო, უთო-  
ფო ნადირობის საყურებლად წაიყვანა.

ჩამოწვავებულ თოფს ბარის ღობე-ყორები და ეზო-  
გარემო დაეფარა, ისედაც პატარა რაჭული სოფელი თოვ-  
ლის თეთრ საბანში ჩაკარგულიყო. აქა-იქ, თითქოს პირ-  
დაპირ თოვლიდან ზეცისაკენ მიიკლავებოდა ცისფერი  
ბოლი.

როცა სოფლის ბოლოს ტყისპირს გავიდნენ, მამას უცებ  
აენთო თვალები, მოულოდნელად წინ გაიჭრა და ხმამაღლა  
წამოიძახა:

— აბა, ეგ წუწუი ევა, გაუშვებია თუ არა ფეხები!..

თოვლზე ბაყი ფერის მელა ეგდო, სამუდამოდ გაეჭიმა

...მერე შენ რა გენაღვლება ვახშადაც აქ დარჩებითო...  
(დაათვის წვეულეა!)







მელია და მამალი

მარდი ფეხები და კბილები ისე დაეკრიბა, თითქოს იცინისო.

თოფით მოკლულს ზოგჯერ ტყეყი დაუზიანდება. ამას კი შეხედეთ, აბა, რომელი მზეთუნახავი დაიწუნებს.

— თავისით მოკვდა? — იკითხა გიორგიმ.

— არა, შვილი, საწამლავმა მოუღო ბოლო. გუშინ ამ ადგილებში თხის ქონში ოსტატურად შეხვეული დარიშხანი მიმოვანბნიე. წუწყამა მელამ კი მოძებნა, წინა კბილებში მოიკვალ, გაწყყა და, ვინ იცის, იქნებ გადაწყობავც ვერ მოასწრო, ძლიერმა საწამლავმა ისე სწრაფად მოუღო ბოლო...

მას შემდეგ ძმები ნადირობის აზარტმა აიტანა. ნადირობა ხომ ბევრი სიახლეთა და მოუღონდნელოებით არის სასეც.

გადიოდა წლები... ჩლაიძეები ხან კავკასიონის თვალშეუღვამ მწვერვალებსა და ქოუბებში ფრთხილ ჯიხვებსა და არჩევს უთვალთვალბუნდენ, ხან კი შირაქისა და აზერბაიჯანის ძებნარებში გარეულ ტახებს დასდევდნენ.

შთაბეჭდილებათა მეორე რგოლი, რომელმაც შემდეგ ამბებებსა და მოუღონების კრიალოსანი შეადგინა, მამის ასე გაცხადდა:

ერთხელ გიორგი ჩლაიძეს, რომელიც ფსანაურში ზოოლოგის ასწავლიდა, მთელი დედაკაცი ესტუმრა.

— დათვებმა სულერთიან გაგვინადგურეს ყანები... ამბობენ, ნადირს თქვენი ტყეა არ ასცდებო.

- სად ბუნაგობენ, თუ იცი? — ჰკითხა გიორგიმ.
- ფცხვედეთის მთაზე ერთი ტაფობია და...
- რა ნიშნებია?
- კლდეზე ღორდს აგორებენ, მიელი დამე ლაწა-ლუწი და ნადირის ბობონი ისმის.
- შეიძლება! ჭიანჭველების ძებნა იცინა ქვებში დათვებმა, — თქვა გიორგიმ და ქალს ფცხვედეთის მთაზე ასვლას დააბრდა.

ნამდვილად სამახსოვრო იყო იმ ნადირობის ამბავი. ბეკობს ამოფარებული, სუნთქავშეკრული მონადირე თოფმემართული იცდის და ყურს უდგებს ერთგული მეძებრების ყეფას. ძაღლების ღრინაცელი ცხარდება და თანდათან ვაშმაგებული ხდება. უთუოდ საკბილო იპოვებს.

ელის მონადირე და წარმოუდგენია როგორ გამოურბენს გვერდით ბაუბაჯა ტყეური, იგრილგებს თოფი და... მაგრამ ნადირი ჯერ არ ჩანს. ძაღლების ღრინაცელი წყავწავში გადადის. რა მოხდა? მონადირე გამოდის საფარინდან და პირდაპირ მიეშურება ტაფობისაკენ. და ისევ თვალწარმატაცი, განუმეორებელი სურათი:

ვეებერთულა დედა-დათვი გაშმაგებით ბრუნავს ძაღლებს შორის, გააფთრებით იბრძვის. დილია სიცოცხლის ინსტინქტი, მაგრამ მხალისი ტუნძულით როდი გარბის დათვი. ძლიერი მხეცი უფრო მძლავრ ინსტინქტს—შობლიურობის გრძობას შეუპყრია და გაშმაგებით აბრძოლებს. დაავს ფეხებს შორის სამი ბამბურა ბელი მოუქცევია, მოუხეშავად ცდილობს სამივე ერთად აიყვანოს და მკერდზე მიიხუტოს. სურს მათთან ერთად გაიქცეს, მაგრამ ბელები ისევ მიწაზე უცვივდება, და მხეცი ისევ თავიდან იწყებს შეგების გულში ჩახუტებას და ძაღლებთან ბრძოლას.

ერთ წამს გახვება მონადირე, დედობრივი გრძობის წინაშე ქედმოდრეკილი.

მაგრამ დათვმა დაინახა თუ არა ნამდვილი მტერი, ბელები მიატოვა, ძაღლების წრე ერთი თათის დაკვრით გაარღვია და გავეშუბული გამოგმართა მონადირისაკენ. უკანა ფეხებზე ამართულმა სიკვილიმა ჯიქურ ჩახედა თვალბეში გიორგის. ხელის ერთი აკანჯალემა და მძიმე თათები უროსავით დაეცემა, სასიკვილო კლანჭებში მოიქცეს მონადირე...

თოფის გრიალმა გაწყვიტა ორთაბრძოლა და გამარჯვების სასწორი ძლიერის — ადამიანის მხარეზე გადაიხარა.

მარავალთა შორის კრიალოსნის ერთი მარცვალცი. რას არ იპოვის ტყის ილუმალებში შემოქმედებითი ფანტაზიით აღვსილი კაცის მამიებელი თვალის შოთა ჩლაიძე ასწლოვან მუხებს შორის დააბიჯებს. აქ თვალსა და ვილს იტაცებს დიდებული პეიზაჟი. მშის შუქი აქა-იქ იჭრება ხეებში და ათასგვარ ელფერს ქარავებს. შუქი ცისარტყელას წაყავებს, მუხები სირუშეში დევებით მხრებმიჯრით დვანან. მუხეცარული ჩანქერი კლდეზე მზეთუნახავის თმებივით გადმოშლილა.

ადამიანის თვალი ისეთია, უცხოხა და შორეულს, მიუგუბებს, განსხვავებულსა და უფარლოსაც ერთმიჯრის ამსავებს, მათში იფიქრობასა და ტოლფარობის პოულობს. ახლაც მონადირის მამიებელი თვალი კაკლის ხეზე უცნაურად დასკუბულმა სოკომ მიიპყრო და იმ წუთში

გაცოცხლდა. წარმოდგენაში კავშირები — საოცარი მსგავსება. ამ სოკოს რომ კანი გასძვრეს და „თავთან“ სულ პაწაწაინტელა წერტილი დაესვას, ნამდვილი ზღარბი იქნება, „კაკლის ზღარბი“, რომელსაც ცოცხალისაგან ვერ გამოარჩევენ...

ასე ვახლდა შოთა ჩლაიძის საკუთრება ველური, ორიგინალური, ცოცხალისადმი მიმხატვანებით დამაზი „კაკლის ზღარბი“.

... და ასე მარცვლები, სიანტერესო, შთამბეჭდავი, ერთი შეხედვით უმნიშვნელოც კი, რჩებიან გონებაში და ერთიან კრიალოსანზე თანმიმდევრობით ლაგდებიან.

3. გაქვეყნებული სხელოვნება  
სინამდვილის ასახვის, შთაბეჭდილებათა ფიქსირების მრავალი ზერხი და მეთოდი არსებობს. მას ყველა თავისებურად გამოხატავს და ამ გამოხატულებაში თავის სპეციფიკურ, სხვისგან განსხვავებულ კვალს აჩენს. პოეტი, რომელიც აღფრთოვანებულია ბუნების სილამაზით, პეიზაჟის ზღაპრულ ფერადოვნებას ხატოვნად გადმოგვცემს ლექსში, რომელიც მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ახლოა ცოცხალ შთაბეჭდილებებთან. მხატვარს იგივე მოვლენა ტილოზე გადააქვს. იგი დამახასიათებელ, მისი შეხედულების მიხედვით ყველაზე ხელსაყრელ ბუნებრივი სილამაზის გამომსახველ მომენტს, ან მომენტთა ერთობლიობას აჩრევს. ასევე მოქანდაკე სპეციფიკურსა და დამახასიათებელი შტრიხების შერწყმით აწვევს დასახულ მიზანს. მაგრამ როგორ უნდა დალაგდეს, ფიქსირებულ იქნას აზროვნებაში შემოწმებული უჩვეულო შთაბეჭდილებათა ერთობლიობა, თუ მხატვრული ასახვის გზას არ დავადგებთ? მხატვრული სიტყვისა და ფერწერისაგან განსხვავებით, როგორ უნდა მივადვიოთ ემოციურ ზემოქმედებას მჭვრეტელზე? ფაუნის ვეღორ სილამაზეს გამოუმსახველობის როგორი ფორმა უნდა მიეცეს, რომ მას აღმზრდელიობით მნიშვნელობა მიენიჭოს.

გიორგი ჩლაიძეს აქ დაებოდა ორიგინალური აზრი, რომლის განხორციელებაში დიდი როლი ითამაშა მისი უმცროსი ძმის შოთას მხატვრულმა ადამიან და თვალმა, თვითნასწავლი ფერწერის ხერხების თავისებურმა, ტექნიკურმა დასაყენებამ.

ჩაისახა დაზოგადოებრივი შექმნის იდეა. გაჩაღდა შემოქმედებითი მუშაობა. საყვარელ საქმეზე ფიქრსა და შრომაში ძმებს არაერთი დამე გაუთენებიათ თერთად. ყველაფერი მოსაგვარებელი იყო, ყველაფერი შესაქმნელი, რასაც თან ახლდა ყოველი დასაწყისის სიძინელი.

... მონადირეს შეუძლია ყოველთვის დატყბეს ბუნების სილადი, გარეული ცხოველებისა და ფრინველების ველური სილამაზით, სიმშვენიერით. იგი ხედავს ცოცხალ არსებას მისი ცხოველური დატყბებით, უფრო სწორად, მის ინსტიტუტებში, რომლის გარეგნულ გამოვლენაშიც — შიში, ცახცახი, სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ბრძოლა — თავისებური სილამაზაა, მიმზიდველი, შთამბეჭდავი. შემდეგ კი, მონადირის თოფის გასროლა არღვევს ბუნების პარამონიას, ანადგურებს სიცოცხლეს... თქვენს წინაშე უსიცოცხლო მონადირე, რომელსაც უკვე აღარ გააჩნია ის სილამაზე, ერთის წუთის წინათ ასე დადებულად რომ ამკობდა მას და გუჯადობდათ. იგი სიცოცხლის მოსაბოძებთან ერთად გაქრა.



დათვის წვეთლება

იმისათვის, რომ მოკლულმა გარეულმა ნადირმა თუ ფრინველმა ცოცხლის შთაბეჭდილება მოახდინოს, ჩვეულებრივად ფიტულირებას მიმართავენ, ეს ახალი და უჩვეულო ამბავი როდია. ეს მეთოდი გამოიყენა გიორგი ჩლაიძემაც, რომელმაც საამისოდ თავისი ზოოტექნიკურ-სახუნებისმეტყველო განათლება, თბილისის სახელმწიფო მუზეუმში გერმანელი ტაქსიდერმისტისაგან მიღებული გამოცდილება და ლიტერატურით შექენილი ცოდნა გამოიყენა.

ამ საქმეში დიდად დახელოვნდა გიორგის ძმა შოთაც. უკვე რამდენიმე წელიწადია ძმები ისეთ ფიტულებს ამზადებენ, რომ ცოცხალისაგან ვერ გაარჩევი. მაგრამ მარტო ფიტულების დამზადება როდი შეადგენს აქ ხელოვნებას. საქმე ეხება ფიტულების საშუალებით იმ შთაბეჭდილებათა, ნახულისა და წაკითხულის ორიგინალურ გადმოცემას, რომელთაც დამოუკიდებელი შინაარსი ეძლევა.

როგორც მხატვარი ეძებს ყველაზე დამახასიათებელ შტრიხებს ამა თუ იმ მოვლენის არსის გადმოსაცემად, ასევე ძმები ტაქსიდერმისტები ეძებენ იმ არსებობის (ქვეყნა, მდგომარეობა), რომელიც ცხოველსა თუ ფრინველს ახასიათებს. ასეთ შემთხვევაში მართლაც ვერ ვრჩებით თუ უსულ ფიტულის წინაშე დგახართ, რადგან მასში ამეტყველებულმა გაქვეყნებულ სიცოცხლეს — „თითქოს საცა გაინძრება“.

ჩლიპინებმა ამგვარი აზრები შესახვს საკუთარ წარმოსახვას, ნახულებს, წაკითხულს და ხანგრძლივი, ნაყოფიერი შრომის შემდეგ შექმნეს მთელი მუზეუმი, სადაც მნახველს შეუძლია ერთი დარბაზის შემოვილით მიიღოს წარმოდგენა საქართველოს ფაუნაზე და იგი ღრმად აღბეჭდოს მესიერებაში.

### 5. უჩვეულო საქატაკალი

კარგი სპექტაკლის აღმზრდელიობით მნიშვნელობის შესახებ ორი სხვადასხვა აზრი არ შეიძლება არსებობდეს. მაყურებელს ერთნაირად ატბობს მსახიობთა მაღალტექნიკური თამაში და პიესის აზროვნის მიერ დალაოვნება და სცენებში ჩაქსოვილი სიბრძნე. ორივე ერთად კი ქმნის საზოგადოებრივ და ანტიმთ მასალას. მაგრამ ის სპექტაკლები, რომ-

ლუბიკ მუხუშუმ-ლაბორატორიის დარბაზებშია დადგმული, არსებითად ადამიანთა მასალაზე დამყარებული, თუმცა ყველა მათგანს გააჩნია თავისი საპრობონო ქვეტექსტი. მნახველზე ძირითადი ემოციური ზემოქმედება ნაანგარიშგებია მოძრაობისა და მიმართების განცდაზე.

საპრობონო მასალა კომპოზიციურად ისე აერთიანებს ცხოველთა ფიტულებს, რომ მათს ურთიერთმიმართებაში აღზედებულია რაიმე დამოუკიდებელი აზრი.

აღმქმით წარმოდგენებით აძირულ საპრობონო ქვეტექსტებს აქ უმთავრესად იგავ-არაკები წარმოადგენენ. ასეთებია მაგალითად „დათვის წველუბა“, „მგელი და წერი“, „კვარტეტი“, ზღაპარი — „მელია და მამალი“, მოთხრობა — „თხა და გიგო“ და სხვ.

„დათვის წველუბა“ წარმოდგენილია ისე, როგორც ამას ტრილოვის იგავ-არაკის აკაცისეული თარგმანი გვიხატავს:

დათმა ლხინი გაიხიდა  
მოიწყია მეზობლები  
გარეშენიც ბევრი ჰყავდა —  
ტურა, მელა, კატა, მგელი.

ნატურალური ზომის ცხოველთა ფიტულებით შექმნილია „ლხინის“ ნამდვილი სურათი. აქ ცხოველის ყოველი მდგომარეობა ისეა შერჩეული, რომ იგი ადვილად გადმოსცემს არა მარტო ამ ცხოველის დამახასიათებელ თავისებურებას, არამედ ხალხში, ზეპირსიტყვიერებასა და ენოლოგორში გაერქმელებულ განმარტავებელ სიმბოლიურ დახასიათებასაც.

მაგალითად, შესანიშნავად არის გადმოცემული ცბიერი მელისა, ლხინი დათვის, წუწკი ტურის და სხვა ცხოველთა სახეები. როცა მელაულის ყურებზე, რომელიც გაოგნებულ და გულუბრყვილო მგელიან მიცუტქული, თვალზე ეშმაკურად გადმოუკაკლავს, ყბებზე მაცდუნებელი „ლიმილი“ გაკვრია, უმაღლე გაგახსენდებათ, რომ მელა სწორედ ამ მომენტში შეაგონებს ბრიყვ მგელს: „მერე, შენ რა გენადლებება, ვახშმადაც აქ დაგირჩებიო“.

ასეთ და სხვა სცენებში ცხოველები უჩვეულო როლებს ანსახიერებენ, რასაც ისინი რეჟისორი — ტაქსიდრემისტების წყალობით წარმატებით ასრულებენ.

ცხოველებში ადამიანური განცდის გადმოცემა და ამავე დროს მასში იგავების ალტეროიული აზრის შერწყმა, ცხადია, ძველი საქმეა. ეს ყველაფერი მიღწეულია ხანგრძლივი, დაკვირვებულ შემოქმედებითი შრომით.

ალტეროიული ხასიათითა და შინაარსიანი შესრულებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „არწივი“ (განხორციელებულია ვაჟა-ფშაველას ლექსის მიხედვით). თქვენს წინაშე ცოცხლდება არწივის ბრძოლის ნამდვილი, ბუნებრივი სურათი, რომელშიც მიღწეულია მწერლისეული ალტეროიული ნიშან-შტრიხების მაღალი ეფექტი:

არწივი ვნახე დაჭრილი,  
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,  
ეწადა ბეჭას ადგობა,  
მაგრამ ვეღარა დგებოდა  
ცალ მხარს მიწაზე მიითრევს,

გულისხმის სისხლი სცებობდა.  
და მერე ელევგური ამონაკენისი:

ვაპ, დედას თქვენსა, ყოვებო,  
ცულ დროს ჩავიგადათ ხელადა,  
თორი ვნახავდი თქვენს ბუმბულს  
გაშლილს, გაფანტულს, ველადა

უყურებთ არწივს, რომელიც ბრძოლის რისხვით გაფორმული, ყვავ-ყორნების მიერ ნაცემ-ვევებით, მაგრამ თვალთვან ისეთი ძლიერი სისხლის ურთის, რომ გრძნობთ — იგი არასოდეს არ მოკვდება. ამ განცდას აძლიერებს არწივის ჭანგისაგან მკერდადაფრწული, ბრძოლის ველზე უთავმოებლო მიმოფანტული ყვავ-ყორნები. ყველაფერი ეს გადმოცემულია მოძრაობაში, დამახასიათებელ, მრავალხრივ პლასტიკურ ნიუანსებში.

რატომ არის, რომ ცხოველთა მიერ „მუნჯურად“ შესრულებული სცენები ასე წარუღებლად მოქმედებენ ადამიანის გონებაზე? — იმიტომ, რომ აქ თავდაპირველი ველური სილამაზე ბუნებრივის მიმსგავსებით დიდი ხელოვნებით არის დაკული. ამას ხელს უწყობს და ეხმარება გასცენირებულ ცხოველთა ქცევაში მიმართების ოსტატური გადმოცემა, რომელიც თავის მხრივ მოძრაობის ასახვას და მოძრაობა კი ნამდვილ სიცოცხლეს გვანიშნებს.

ყველა ასეთ სცენას საერთო ფონს უქანის შოთა ჩლაიძის მიერ შესრულებული მთის, კლდის, სახლის, ღობის, მდელის ამსახველი დეკორაციები და ბუტაფორები.

შემთხვევით არ არის, რომ პატარა დარბაზში მოთავსებულ ამ მუხუშუმ-ლაბორატორიის (ბუტაფორების პოსპექტი № 176), დიდძალი მნახველი ჰყავს, განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობა. ისინი მზირად ჩერდებიან ამ უჩვეულო სპექტაკლებს წინ და მრავალი მათგანი იქვე წარბოსოტქვამს ხოლმე ზეპირად შესატყვის იგავ-არაკს თუ ზღაპარს. აქ ხშირად ნახავთ ექსპურსიებს სხვადასხვა სკოლებიდან. მუხუშუმის მოსწავლეები ეცნობიან საქართველოს დაუნას, თვალაჩინოებით განიმტკიცებენ მიღებულ ცოდნას.

### ნ. ს ხ ვ ა თ ა ა ზ რ ე ბ ი

აქ უკვე სიტყვას ვაძლევთ მუხუშუმ-ლაბორატორიის შთაბეჭდილებათა წიგნს. აი, ზოგიერთი ჩანაწერი:

„დავათავალიერე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებულ ტექსტილიურ მიწის სახელოსნო, რომელსაც ხელმძღვანელობს გიორგი ჩლაიძე, და გავცანი მის მუშაობას. სახელოსნო ახდენს ძალზე სისამიონო შთაბეჭდილებას. მასში გამოყენებულია კავასისის ცოცხლელებისა და ფრინველების ფიტულების დიდი რაოდენობა, რომლებიც დამუშავებულია თანამედროვე ტექსტილიურ ტექნიკის მიხედვით და შენარჩუნებული აქვს თავდაპირველი სახე. ყველა რესპუბლიკურ ცენტრს როდის გააჩნია მსგავსი სახელოსნოები. თბილისი ამ მხრივ ბედნიერ გამოინაგლის წარმოადგენს. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა უდიდესი სარგებლობა მოაქვს ამ სახელოსნოს ახალგაზრდობისა და ბუნებისმყოფარულთათვის. სახელოსნო იმსახურებს უდიდეს ყურადღებას და მზარდებე-

რას იმ მხრივაც, რომ მას შეუძლია მოამარაგოს სკოლები თვალსაჩინოების შესანიშნავი საგნებით. პედაგოგებს აქ შეუძლიათ შეიძინონ ყველაზე საუკეთესო საჩვენებელი მასალა.

„ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლ. პორტეჩო. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიური ინსტიტუტი. თბილისი 16 სექტემბერი, 1952 წ.“

„ამ წამოწყებას დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლებში ზოოლოგიის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის... ლაბორატორიის შემდგომი გაფართოება-გაუმჯობესებისთვის საჭიროდ მიგვაჩნია სათანადო მუშაობა გაჩაღდეს თბილისისა და რესპუბლიკის სკოლების მასწავლებლებთან, რათა ზოოლოგიის მასწავლებლებმა შესძლონ ადგილობრივი საშუალებებით ფიტულების თუ სხვა მასალების დამზადება, აგრეთვე ამ საქმეში მოსწავლეთა ჩაბმა.

მუზეუმ-ლაბორატორიის უნდა გადაეცეს სპეციალური შენობა, რის შესახებაც საკითხი უნდა აღიძრას ზემდგომი ორგანოების წინაშე.

მუზეუმ-ლაბორატორიამ მჭიდრო კავშირი უნდა დამყაროს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტთან, ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურთან.

არ შეიძლება ხაზი არ გავსვას ლაბორატორიის გამგის გ. ჩლაიძის და ლაბორატორიის მთელი კოლექტივის ნაყოფიერ მუშაობას.

პროფ. დ. ლორთქიფანიძე  
დოქ. ე. კაპანაძე

## 7. ლ ე გ ე ნ დ ა მ ა გ ი დ ა ზ ე

შოთა ჩლაიძე თავის „კაკლის ზღარბს“ ჩაპკირკიტებდა და ფიქრობდა: ხომ არ შეიძლება ამ ზუნებრივ მონაცემებს ხელოვნურად მიემატოს და აქედან რაიმე სასარგებლო ნივთი გაკეთდეს. გაჩნდა ჩანაფიქრი და „კაკლის ზღარბი“ თხელ, ლამაზად დახერხილ ფიცრებად იქცა. მრავალი უძილო ღამე, დღის თავადლებული შრომა და, ნადირობასთან დაკავშირებულმა თბილისის წარმოშობის ლეგენდამ ხორცი შეისხა.

ფიცრები მრავალგვარ გამოსახულებათა კონტურებით მოხატული აღმოჩნდა. მაძიებელმა თვალმა აქ იპოვა ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეების გამოსახულებათა მსგავსი ანბეჭდები. შოთა ჩლაიძე მათ დამუშავებას შეუდგა. ერთ-ერთი ასეთი ფიცარი, რომელზედაც მკაფიოდ იყო გამოსახული ადამიანის კონტური, ოსტატმა გორგასლის სახის გამოსაკვეთად გამოიყენა.



თბილისის 1500 წლისთვისადმი მიძღვნილი სამეღნე

შოთა ჩლაიძის მიერ დამუშავებული გორგასლის გამოსახულება საყურადღებო თავისებური გააზრებით. თბილისის დამარსებელს წარბები მოუშვილდავს, მუზლი ოღნავ შეუყარავს, თითქოს აკვირდებო მარცხენა ხელით აზიდულ ხობხობს, მაგრამ გრანობთ, რომ ამ ხობხობზე როდია მისი ყურადღება შეჩერებულა. მისი გონება რაღაც ახალ, მეფურ გადაწყვეტილებას შეუპყრია...

გორგასლის პორტრეტი ჩასმულია გარეული ტახის ეშვებში, რომლებიც ერთიმეორეზე თავგადადებულ თევზების გამოსახულებას წააგავს და ოვალურ წრეს კრავს. პორტრეტი ძვლის ჩარჩოთი შველის რქებს უჭირავს; თავის მხრივ რქები დამაგრებულია დაფად გამოყენებულ „ზღარბის“ ფიცარზე, რომელსაც კაკლის ფოთლის ფორმა აქვს მიცემული.

შვლის რქისა და დაფის შვერთების ადგილზე გაკეთებულია ოვალური ფორმის გარეული ტახის ეშვები. მასზე წარწერაა: „თბილისი 1500 წლისაა“. ოვალში ჩადგმულია შვლის რქის გადანაპერისაგან დამზადებული სამეღნე.

რომელიც რქის სარქველითვე იხურება. დაფა-ფურცლის მარჯვენა და მარცხენა მხარეზე დადგმულია შვლის რქის გადანარჩები. ერთზე მიმინო ზის, მეორეზე კი ლამაზად გამოკვეთილი საქართველოს ველ-მინდვრების მშვენიერება — ხობობი, რომელიც თითქოს თავისი სილამაზით ტკბება და არაერთარ საფრთხეს არ მოულის. მიმინო და ხობობი დამაზადებელია ბზის ხისკანს.

მთელ ეს კომპლექტი ეყრდნობა შვლის ჩლიქებს, მათ შერჩენილი აქვთ ბუნებრივი ბეწვი კალმის გასწვმენდად. რსტატმა მთელი ეს ნაკეთობა, რომელიც დიდი სიყვარულითა და სიფაქიზით არის შესრულებული, თბილისის 1500 წლისისთვის იუბილეს მიუძღვნა.

— აქ ყველაფერი ბუნებრივია, მე მხოლოდ ბუნების მიერ დაწვეული მონასახეები დავასრულე და უფრო გამოკეთილი ფორმა მივეცი, — ამბობს შოთა ჩლაიძე.

შემდეგ ჩვენი ყურადღება მაღალმხატვრულად შესრულებულმა ჯიხვის ყანწმა მიიპყრო. შოთამ კვლავ განაგრძო:

— ამ ჯიხვის რქაში მე შევამჩნე წყლიდან ამომხტარი თევზის მოსხლელი ტანის გამოსახულება, ისევე ვაგვრძელე ბუნებრივი მონაცემები და მთელ რქა ისე დავამუშავე, რომ თევზის ქერებს დამსგავსებოდა, ზედად თვალები და ფარფლი — კული გამოფუცქნა.

„თევზ-ყანწს“ ამბობს წარწერა: „შევსვათ სადღეგრძელე ჩვენი ერისა“.

შოთა ჩლაიძის მიერ დამაზადებული „თევზ-ყანწები“ ფაქიზი გემოვნების, ძვლის დამუშავების ნატიფი ხელოვნების ურთიერთ შერწყმის შესანიშნავი ნიმუშია.

ორიგინალურად გააზრებული და დამუშავებულია „ჯიხვის თავიც“. „ჯიხვის საჭირიოების შემთხვევაში შეიძლება რქები მოეხსნათ და ყანწებად გადაეკეთოთ. „ჯიხვის თავს“ საფუძვლად უდევს ხალხური ლექსი:

ჯიხვმა თქვა მაღლა დადვიარ  
თვალი ვერ მომაწვდინოთა,  
მოგვდები, რქებმა მოვიხსნი —  
ჩაეახსამ შავსა ღვინოსა,  
მაღლა ამწევენი ისევა,  
სულსა მოსალხინოთა.

### 8. განზრახულია

ყოველი ახალი აზრი, განზრახვა, ხელოვნების მომავალი ნაწარმოების შესახებ ჯერ სადაც გულის კუნჭულში დაიბუღებს, მცირე ადგილს დაიჭერს, მერე კი მის ირგვლივ დატრიალდება ფორტი და ოცნება, ხოლო გონება მუდმივ საკვებს მიუჩენს, ააღორძინებს, დაავაჟავებს. ასე იწყება შემოქმედებითი ცეცხლით წვა, აზრის შესახამისი

ფორმის ძიება. ჩანაფიქრი შეისხამს ხორცს და დაიშორებულია არსებობის უფლებას დაიპყვრებს. გულისა და გონების კუთვნილება ამგვარად ხალხის თვალისა და გონების სამსჯავროს წინაშე წარსდგება. და თუ გამოცდას გაუძლვა, დროსაც გაუწევს მტკიცეობას.

ასე იქცევა განზრახული არსებულად, შესაძლებელი სინამდვილედ...

— შთაბეჭდილებანი, სანამ მათ ჩემებურ ყიდაზე არ დაიმორჩილებ და შესახამის ფორმამ არ ჩაეჭვდევ დღე და ღამ მოსვეწვას არ მაძლევენ. ამ შთაბეჭდილებათაგან ამჟამად განსაკუთრებით ერთი მაწუხებს, ძალიან მინდა, რომ მისი განხორციელება მოკლე დროში დაიწყეთ — ამბობს გიორგი.

— ჰო! უკვე დროა, — უთქმელად მიუხვდა უფროს ძმას შოთა, — როგორც ჩანს, მათი ფიქრებიც მათი შემოქმედების მსგავსად ერთიმეორეს შესისხლხორციენიან.

ძმებს განზრახული აქვთ პირად შთაბეჭდილებათა კრიტიკონიდან კიდევ ერთ მარცვალს შეახანს ხორცი.

ამჟამად საქმე ეხება ფტეხდიეთის მთაზე მომხდარ მონადირულ სცენას, რომლის გმირი დედა დათვი გახდება.

— აქ უნდა გამოვსახოთ ცხოველის სიძლიერე, დელობრივი ინსტიქტით შეპყრობილის თავგანწირვა, ბელუბის დაცვა, ძალღებთან ბრძოლა და ყველაფერი ეს ისე ცოცხლად, ბუნებრივად უნდა გაკეთდეს, როგორც მაშინ ცხოვედიეთის მთაში უნახვ, — გვეუბნება გიორგი.

— ამასწინათ კვლავ ახალი აზრი დაგვებადა, — დიმილით დასქენს შოთა ჩლაიძე და ფართო ალბომს გვაწვდის, — აი, ეს ჩემს მიერ შედგენილი ესკიზია, გვიდა ვაჩვენოთ ადამიანის გონების სიძლიერე, მისი გარდამქნელი, შემეცნებელი ძალა, ის, თუ როგორ იყენებს ადამიანი ბუნებრივ მონაცემებს და მას თავის ნებას უქმედებარებს.

ესკიზზე ცხვრის ფარა გამოსახული, წინა პლანზე ბაძოშვილის, ნატროშვილის და სხვათა მიერ ხელოვნურად გამოყვანილი ცხვრის ახალი ჯიშები. აქვეა მწყემსი თავისი განუყოფელი კომბლით, ნავაზი — ფარის ერთგული დარაჯი, სახედარი — მიუვლი ადგილების მეგზური.

— მრავალი რამ გვაქვს მოფიქრებული და გასაკეთებელი, მაგრამ ბინის სიფიწროვე ძალიან გვიშლის ხელს, რომ ჩვენი მუშაობა მთელი შესაძლებლობით, ფართო მასშტაბით ვაგეშოთ, — გულისტკივილით ამბობენ ძმები.

... შთაბეჭდილებები ერთიმეორეს ცვლიან და ავსებენ. მართლაც ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი ქართულ ტექსტილურ მუშაობაში. ბევრ საინტერესოსა და უჩვეულოს შექმნის მათი შემოქმედებითი გონება, მახვილი თვალი და დაუღლები მარჯვენა.



# სახალხო პოლონეთის კულტურა

ვილიმერ ჭიაურელი

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე



იმდინარე წლის ივლისში პოლონელმა ხალხმა იღვესაწაულა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის არსებობის 15 წლისთავი.

თხუთმეტი წლის წინათ საბჭოთა არმიამ და მასთან მხარდამხარ მებრძოლმა აღორძინებულმა პოლონურმა არმიამ დაამარცხეს ფაშისტი დაბმყრონი და პოლონელ ხალხს მიუტანეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა იყო არა მარტო შემობრუნება პოლონელი ხალხის ისტორიაში, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენაც, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მსოფლიო სოციალიზმის განვითარებაში. მოკლე დროში, რომლის ნახევარი მოხმარდა ომითა და ფაშისტური ოკუპაციით დანგრეულ სახალხო მეურნეობის აღდგენას, სახალხო პოლონეთი აგრარული ქვეყნიდან იქცა ეკონომიურად განვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად. პოლონელი ხალხის თავგანწირული შრომით ნანგრევებისა და ვერფლისკან აღსდგა პოლონეთის მშვენიერი დედაქალაქი ვარშავა, ხელახლა აშენდა ბევრი სხვა ქალაქი და დაბა-სოფლები, რესპუბლიკა მოიფინა სამრეწველო საწარმოების ხშირი ქსელი, გაიწინა მრეწველობის ახალი დარგები, რომლებსაც არ იცნობდა ომამდელი პოლონეთი. დიდი მიღწევებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის განვითარებაშიც. ყველა ეს წარმატება ცხადყოფს პოლონელი ხალხის უღრვევ ნებისყოფას და მის ურყევ გადაწყვეტილებას უმოკლეს ვადაში აქციოს თავისი სამშობლო ძლიერ სოციალისტურ სახელმწიფოდ; ამასთან გვიჩვენებს იმ უდიდეს ორგანიზატორულ მუშაობას, რომელსაც დიდი წარმატებით ეწევა პოლონელი ხალხის სახელგონი ხელმძღვანელი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია.

ეს პარტია დამახარებულად სარგებლობს მთელი პოლონელი ხალხის სიყვარულით და მხარდაჭერით. მან შეისისხლბორცა პოლონური მუშათა რევოლუციური მოძრაობის საუკეთესო ტრადიციები და თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის დიდი მოძღვრებით. იგი მებდრად იცავს ხალხის ინტერესებს, ზრდის მასებს სოციალიზმის საქმისადმი, საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დიდი იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულების და თავდადების სულისკვეთებით. პოლონეთის გაერთიანებულმა მუშათა პარტიამ წარმატებით მოიგერია ამერიკელები გარეშე და შინაური რეაქციისა, რომელიც რევიზიონისტების მხარდაჭერით ცდილობდა ლიკვიდაცია ეყუ მშრომელთა სოციალისტური მონაპოვრისათვის. ამგვამად სახალხო პოლონეთის მშრომელი მასები, გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით, აწეწებენ თავის ბედნიერ, წათელ სოციალისტურ მომავალს.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის უშუალო და ყოველდღიური ზრუნვის საგანს წარმოადგენს მხატვრული შემოქმედების განვითარება და მშრომელ მასებში კულტურის გავრცელება.

პეგმ-ის მესამე ყროლონის მიერ რესპუბლიკის საწარმოო ძალების შემდგომი ზრდისა და სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის შემუშავებული პროგრამა მჭიდროდ არის დაკავშირებული იდეოლოგიის სფეროში სოციალისტური მიმართულების გაღრმავებასთან, მშრომელთა სოციალისტური შეგნებულობის განმტკიცების, მთელი ხალხის განათლების და კულტურის განვითარების ამოცანებთან.

გასული წლის დეკემბერში გაიმართა სრულიად პოლონეთის კულტურის მუშათა თათბირი, რომელმაც, პეგმ-ის თაონობით, წამოაყენა ლოზუნგები — „პოლონეთი — მოსწავლეთა ქვეყანა“, „ათასი ახალი სკოლა პოლონეთის ათასი წლისთავისათვის“; ამ ლოზუნგებმა ცხოველი განმობილი და სრული მხარდაჭერა პოევის მუშებში, გლეხებში, ახალგაზრდებში და ინტელიგენციის ძირითად მასებში, ამ დიდი საზოგადოებრივი თაონობის ხორცმესასხმელად საწარმოების და დაწყებულებების მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივებმა გადაწყვიტეს სკოლების მშენებლობისათვის გაიღონ ხელფასის 0,5%, ხოლო სოფლის მოსახლეობას ამავე ფონდი შეაქვს თავისი სასოფლო-სამეურნეო შემოსავლის 2%. საზოგადოებრივი სახსრებით ასაგები სკოლების მშენებლობის პარალელურად, 1955 წლამდე სახელმწიფო თანხებით აგებული იქნება კიდევ 3500 სკოლა. დიდად ვითარდება პოლონეთის უმაღლესი განათლება. თუ 1917 წელს პოლონეთს ჰქონდა 24 უმაღლესი სასწავლებელი, 1958 წელს მათი ქსელი 112-მდე ავიდა, ამასთან წარმოიშვა უმაღლესი სასწავლებლები ახალი სპეციალობებით და პროფესიებით.

1938 წელს უმაღლეს სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რაოდენობა შეადგენდა 6110 კაცს, 1958 წელს კი უმაღლესი სკოლა დაამთავრა 20 ათასამდე სპეციალისტი. განვლილი 15 წლის განმავლობაში უმაღლესი კურსდამთავრებულითა რიცხვი ავიდა 250 ათასამდე, წინამდებევ იმ 85 ათასისა, რომელიც ოცი წლის განმავლობაში გამომუშვეს ბურჟუაზიულ-მემპაულოური პოლონეთის უმაღლესი სასწავლებლებმა. ომამდე პოლონეთს ჰქონდა 1.033 ბიბლიოთეკა, რომელთა წივის ფონდი ითვალდა 1.700.000 ტომს, ამგვამად სახალხო პოლონეთს აქვს 6.600 საჯარო, 2.600 პროფკავშირული, 28.000 სასკოლო და დაახლოებით 300 სამეცნიერო ბიბლიოთეკა 88,8 მილიონი წივის საერთო ფონდით.

რესპუბლიკაში მიმდინარე კულტურული რევოლუციის გაქანებას და დიდ მასშტაბს მოწმობს მოთხოვნილების ზრდა ჟურნალ-გაზეთებზე და წიგნებზე. გასულ წელს პო-



ლონეთში გამოდიოდა 687 სახელწოდების გაზეთი და ჟურნალი, მათ შორის 46 ყოველდღიური და 134 ყოველკვირეული გაზეთი, 42 ორკვირეული და 212 ყოველთვიური ჟურნალი, მარტო 1957 წელთან შედარებით, ჟურნალ-გაზეთების რიცხვმა 167 სახელწოდებით მოიმატა.

ჟურნალ-გაზეთების ერთდროული ტირაჟი 1958 წელს შეადგენდა 21,5 მილიონ ცალს, წინააღმდეგ 18 მილიონისა 1955 წელს.

სახალხო რესპუბლიკის 15 წლის არსებობის მანძილზე პოლონეთში მილიონობით გამოიცა პოლონური და მსოფლიო ლიტერატურა. პოლონელი კლასიკოსების-სენეკეიჩის, პრუსის, კრაშევსკის თხზულებები დაიბეჭდა შვიდ-შვიდი მილიონი ტირაჟით, მიკევიჩის, კონხონიციასი, ჟრომსკის, ოქსეშის ხუთ-ხუთი მილიონი ტირაჟით, მაცქიმ ვორკის, ლეე ტალსტაის, მ. შოლოხოვის წიგნები გამოცემულია 1 — 2 მილიონ ცალად თითოეული.

მხოლოდ 1957 წელს სახალხო პოლონეთში გამოცემულია 90 მილიონი ცალი წიგნი და ბროშურა, წინააღმდეგ 29 მილიონი ცალისა 1937 წელს. ძალიან დიდ ტირაჟებზე იბეჭდებოდა პოლონეთში ბუშკინის, გოალოის, ლერმონტოვის, ტურგენევის, დოსტოევსკის, ჩეხოვის მხატვრული ნაწარმოებები. ხშირად იცემა აგრეთვე საბჭოთა მწერლებს—მაიაკოვსკის, ერენბურგის, ბრიშვინის, გლაკოვის, ფედინის, პავლენკოს, პაუსტოვსკის და სხვათა წიგნები, უფროსი თაობის მწერალთა ნაწარმოებების გამოცემის დასაბუთებლად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თანამედროვე პოლონელ მწერალთა წიგნების გამოცემას. მასებში დამახასიათებელი პოპულარობით სარგებლობენ საბჭოთა მკითხველებისათვის ცნობილი მწერლების—სოფია ნალკოვსკაია—„მედლიონი“, ლეონ კრუჟკოვსკის, ვერბანელეზა“, ლიუციან რუდნიცკის „ძველი და ახალი“, ეკი ანკუჟის „ფერფლი და აღმასი“, ჰარია დომბროვსკაიას „დღის ვარსკვლავი“, ივორ ნევერლის „დღიური ფაბრიკიდან“ და სხვა.

1958 წელს საზოგადოებრივი ბიბლიოთეკებით სარგებლობდა რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 10,6%; ამასთან მკითხველთა რაოდენობა სისტემატურად იზრდებოდა. პოლონეთის აუერთიანებული მუშათა პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მკითხველბთან მუშაობას, სთვლის რა ბუნდვითის სიტყვას ქმედით იარაღად კულტურული რევოლუციის საქმეში, ხოლო წიგნ—ინტელექტური ინტერესების გავრცელების სტიმულად და აღამათა ცოდნის გამდიდრების წყაროდ.

კულტურულ-საგანმანათლებლო და პოლიტიკურ-აღმზრდელი მიზნით მუშაობაში დიდ როლს ასრულებს რადიო. 1958 წელს რადიოაპონენტთა რაოდენობა შეადგენდა 4,5 მილიონს, წინააღმდეგ 900 ათასისა 1938 წელს.

თანდათან მეტი გაქანება ეძლევა ტელეხედვას, რომლის მნიშვნელობა კარგად ესმით შრომითა ფართო მასებს; ამას მოწოდებს შემდეგი ფაქტი: შარშნს სახალხო პოლონეთში მოეწყო კონკურსი-ანექტა ტელევიზიის მნიშვნელობის და განვითარების საკითხებზე. მიღებული იქნა ათასობით პასუხი. კონკურსის ეროში აბრევლო პრემია მიანიჭა ყველაზე მოსწრეული პასუხის ავტორს. აი ისინი: „ტელევიზიის განვითარება სასიკვდილო ლახვარია „პროვინციისათვის“. ეს ფრთიანი გამოთქმა ლოზუნგად იქცა ტელევიზიის ყველა შემოქმედი და ტექნიკური მუშაკე-

სათვის, — ახლა ისინი არ ზოგავენ თავიანთ ძალღრწვას ტელეხედვის სწრაფი განვითარებისათვის პოლონეთში; მასობრივად რესპუბლიკაში მოქმედობს 4 სატელევიზიო ცენტრი—ვარშავაში, ლოძში, კოტოვიცში და პოზნანში. განსაკვირვებელია საცდელი ცენტრი, ხოლო ვროცლავში, კენდსა და ზაგოანში სატელევიზიო სადგურები. უნდა აღინიშნოს, რომ პოზნანის და განსკის ტელეცენტრების მშენებლობას უმთავრესად მოსახლეობა და საწარმოები აფინანსებდნენ, ხოლო ვროცლავის, კელცის და ზაგოანის სარტრანსილაციო სადგურები მოლიანად საზოგადოებრივი სახსრებით აშენდა.

ხალხის განათლების, მეცნიერების და ტექნიკის უახლოეს მიღწევების გავრცელების და პოპულარიზაციის, კულტურის სფეროში პარტიის პოლიტიკის ვატარების ერთ-ერთ უძლიერეს იარაღს წარმოადგენს მთელს რესპუბლიკაში მოფინული ქსელი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა.

წითელი კუთხეები, კლუბები და კულტურის სახელები დიდ კულტურულ მასობრივ და პოლიტიკურ-აღმზრდელი მიზნს მუშაობას ეწევიან. 1958 წელს რესპუბლიკაში იყო 8450 წითელი კუთხე, 353 კულტურის სახლი და 264 კლუბი. ამ დაწესებულებებს თავიანთი საშტატო თანამშრომლებით ფართო მასობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო და პოლიტიკური-აღმზრდელი მიზნით საქმიანობა აქვთ გააღებულნი რესპუბლიკის მშრომლებში. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან არსებობს 18 ათასი საგანსახვა თვითომქმედი კოლექტივი და წრე, რომელნიც 300 ათასზე მეტ კაცს აერთიანებენ. ამასთან რესპუბლიკაში მოქმედებენ სრულიად დამოუკიდებელი კოლექტივები, რომლებიც ადგილობრივ კულტურულ გაერთიანებათა ანუ საზოგადოების სახელით არის ცნობილი. ამ კატეგორიის თვითომქმედი ორგანიზაციებს ეკუთვნიან მომუშაოთა 1000 ანსამბლი, რომელნიც მომდერალთა კავშირების გაერთიანების შემადგენლობაში შედიან, 500-ზე მეტი თეატრალური კოლექტივი, რომლებიც შედიან სახალხო თეატრების კავშირში, ფოტომოწყარულთა ასოციაციის კოლექტივები, რომელნიც გაერთიანებული არიან პოლონეთის ფოტოგრაფთა კავშირში, და სხვ.

შესანიშნავ მოვლენას უნდა მივთვინოთ ამჟამად პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში მიმდინარე მოძრაობა საზოგადოებრივი სახსრებით სოფლად კლუბების, ბიბლიოთეკების, სახალხო სახლების, მაცურებელთა დარბაზების, კინოთეატრების ასაშენებლად.

1958 წელს სოფლის მშრომლებმა თავიანთი საშუალებებით ააგეს 700 კულტურული ობიექტი. საზოგადოებრივი სახსრებით აგებული ყოველი კულტურული ობიექტი არა მარტო ემსახურება სოფლის სრული კულტურული განვითარებისათვის, არამედ განამტკიცებს კიდევ გულხა შორის საზოგადოებრივ კავშირ-ურთიერთობას, კულტურულად ამდიდრებს და რაზმავს მთელს სოფელს.

1956 წლის ოქტომბრიდან მოსახლეობის შორის კულტურის გავრცელების მეთოდებში მოხდა ზოგირით ცვლილება. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის და ხელოვნების სამინისტრო შეუდგა ადგილობრივი სახალხო საბჭოებისათვის თავის რწმუნებათა ვადაცემის ფართო გეგმის განხორციელებას. ამ ღონისძიებამ ნაყოფიერი შე-



დღეი გამოიღო, — აღიკვეთა რესპუბლიკის ყველა რაიონისათვის კულტურული მუშაობის ერთიანი შაბლონი, ადგილობრივმა ორგანოებმა, რომლებიც კარგად იცნობენ მასხლის მოთხოვნილებებს, მინჭებულ დამოკიდებლობა მოხერხებულად გამოიყენეს იმისათვის, რომ კულტურის საკითხების გადაწყვეტა უფრო მიეახლოვებიათ მოსახლეობის საჭიროებებთან დაგამოყრდნობასთან და ტრადიციებთან. ამჟამად რესპუბლიკაში არსებული 1500-ზე მეტი დიდი და მცირე კულტურული-საგანმანათლებლო საზოგადოება, რომლებიც ამ უზანავე დიდ დამხმარებას უწყევნ სახალხო ხელისუფლებას .

რამდენიმე წლის წინათ კრიტიკულად იქნა შეფასებული გიწრო მიდგომა კულტურულ მოვლაწეობისადმი, რაც გააზიარებდა იმას, რომ კულტურის დაწესებულებები უშთავრესად მიმართავდნენ მხატვრულ-გამართობელი ხასიათის ღონისძიებებს და ჯეროვან მზრუნველობას არ იჩენდნენ საგანმანათლებლო მუშაობისადმი. ყურადღების ცენტრში იდგნენ მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, დღევანდელს მიეცა საგანმანათლებლო მუშაობის ისეთი ფორმები, როგორც არის საღამოს სკოლები, სახალხო უნივერსიტეტები და სხვ.

ამჟამად მხატვრული თვითმოქმედების განვითარებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა საგანმანათლებლო მუშაობას, რომელიც აღიშნებს მასებში მისწრაფებას ცოდნის გავლადრებისაკენ, მისწრაფებას მხარდაშარბ მიპყვენ ჩვენი ეპოქის დიად მეცნიერულ აღმოჩენებს.

ომის შემდეგ ძირული ცვლილებები მოხდა სახალხო პოლონეთის თეატრალურ ცხოვრებაში. პოლონური თეატრი, რომელიც სწორიად შეწყვეტა მუშაობა პიტლერის ოკუპაციის პერიოდში, აღორძინდა ძველი ტრადიციების საფუძველზე და გაამდიდრა საბჭოთა თეატრალური ხელოვნების გამოცდილებით.

სახალხო პოლონეთის პირველი ახალი თეატრი იყო ვ. კრასნოვეცკის ხელმძღვანელობით დაარსებული თეატრი, რომელიც მომასხურკობას უწყევდა პოლონელ ემიგრანტებს საბჭოთა კავშირში. შემდეგ იგი მოქმედებდა პოლონეთის პირველ არმიასთან, რომელმაც 1944 წელს საბჭოთა არმიასთან ერთად ფეხი შესდგა პოლონეთის მიწა-წყალზე. ფრონტის ხაზის წაწევისთან ერთად ეს თეატრი წინ მიიწევდა (ლიბონის, კრაკოვი, ლოში და სხვ.), პოლონეთის ტერიტორიის განთავისუფლებისდა მიხედვით, ამ თეატრთან ერთად (რომელიც დღეს პოლონური არმიის თეატრის სახელს ატარებს) იქმნებოდა სხვა ახალი თეატრები, რომელთა ჩამოყალიბებებს ხელს უწყობდნენ პოლონური სცენის უხუცესი ოსტატები — კაროლ ადვენტივონი, ვანდა სემპაშო, სტეფან იარაჩი, ლიუდოვიკ სოლსკი და სხვ.

ამრიგად, უკვე 1948 წლისათვის პოლონეთში აღდგენილ იქნა და ხელახლა შეიქმნა 90 თეატრი, მათ შორის, 49 დრამატული, 4 საოპერო, ერთი საოპერეტო და რამდენიმე თოჯინების თეატრი.

თანამედროვე პოლონური თეატრი მასობრივი მასურბდლისკენ შემოიხრუნდა; თავისი რეპერტუარი გაამდიდრა ღრმად იდეური და აღმზრდელიობით მნიშვნელობის პიესებით. იგი უკვე აღარ წარმოადგენს კერძო ანტიტრენიორიანების ხელში მყოფ კომერციულ საწარმოს. წარმოებდა რა ღრმადრული თეატრალური შენობების აღდგენას და

ახალის შენობას, სახელმწიფო კმნიდა თეატრალურ და მუსიკალურ კოლექტივებს.

ყველა თეატრი ნაციონალიზებული იქნა, რამაც მათ მტიკავე ფინანსური ბაზა და ხელსაყრელი შემოქმედებითი პირობები შეუქნა; ამასთან შემოქმედების მუშაობის საშუალება მისცა გადრმაგვებით მუშაობა საექტაკეების იდეურ შინაარსზე და ვაემდიდრებიათ რეპერტუარი.

დღეისათვის პოლონური მუშაობენ: 60 მუდმივად მოქმედი და 19 მობრავი დრამატული თეატრი, 9 საოპერო, 10 საოპერეტო, რამდენიმე თოჯინების თეატრი, აგრეთვე მობრავი საესტრადო-დრამატული კოლექტივები.

პოლონური თეატრების რეპერტუარში მუდამ არის დიდი პოლონელი მწერლების — მიცკევიჩის, ფრედროს, სლოვაკის, ვისპიანსკის, აგრეთვე დასავლეთ-ევროპელი და რუსი კლასიკოსების — ჩეხოვების, მოლიერის, ლოპე ვეგას, იბსენის, შოუს, ჭეხოვის, გოკრის, ტოლსტოის და სხვ. დრამატული ნაწარმოებები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თანამედროვე პოლონური დრამატურკის განვითარებას, ამ მიზნით სისტემატრად ტარდება კონკურსები საუკეთესო პიესებზე, ეწყობა თანამედროვეობის თემაზე შექმნილი საექტაკელების ფესტივალები. სახელმწიფო იძენს ახალი სოციალისტური პოლონეთის ცხოვრების ამსავლელ საუკეთესო პიესებს, რომლებიც იბეჭდება ჟურნალებში და ცალკე წიგნებად იცემა. პოლონეთის თეატრების რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა დრამატურკის.

დიდი ზიანი მიაყენა პოლონეთის მუსიკალურ კულტურას პიტლერმა ოკუპაციამ. მაგარმ შედარებით ძალიან მოკლე ხანში, პოლონეთის გაერთიანებული მუშაობა პარტიის ხელმძღვანელობით, ჩატარებული იქნა გრანდიოზული მუშაობა პოლონური ეროვნული მუსიკალური კულტურის აღდგენისა და განვითარებისათვის. ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებს 9 ფილარმონია, 9 სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი და პოლონური რადიოს ორი ორკესტრი. ფილარმონიებთან მუშაობენ საკუნდი, ინსტრუმენტული, საესტრადო-მუსიკალური კოლექტივები.

პოლონური მუსიკალური კულტურა ჰყვევის და ვითარდება სამი დიდი პოლონელი კომპოზიტორის — შოპენის, მონიუშკოს და შინანოვსკის მიერ შექმნილი ტრადიციების და უმდიდრესი პოლონური მუსიკალური ფოლკლორის საფუძველზე. მუსიკალური ცხოვრების აღმავლობას რესპუბლიკაში დიდად ხელს უწყობს მსოფლიოში სახელმწიფო სიმღერის და ცეკვის ორი პოლონური ანსამბლი „მავოვეჟი“ და „სლენსკი“, რომელთაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვით პოლონური ხალხური მუსიკის და ქორეოგრაფიის პოპულარიზაციის საქმეში როგორც შინ, ისე საზღვარგარეთ.

იმ დიდ ღონისძიებათაგან, რომლებიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ტარდება, აღსანიშნავია შოპენის სახელობის საერთაშორისო კონკურსები პიანისტებისა, ვენიავსკის სახელობის კონკურსები მეგობრუნებისა და თანამედროვე პოლონური მუსიკის ყოველწლიური ფესტივალები „ვარშავის შემოდგომის“ სახელწოდებით.

პროფესიულ მუსიკოსთა კადრების მომზადება უზრუნველყოფილია 15 დაწყებითი, 22 საშუალო და 7 უმაღლესი მუსიკალური სასწავლებლის არსებობით რესპუბლიკაში.





უკანასკნელ წლებში დიდი ცვლილებები განიცადა პოლონურმა სახეობამ ხელოვნებაში. სამხატვრო მოღვაწეობის სარბიელზე გამოვიდა ახალგაზრდობა, რომელმაც განათლება სახალხო პოლონეთში მიიღო. პოლონეთის მხატვართან მთავარ ღირსეულს ამაჟამად წარმოადგენს ცხოვრებასთან კავშირის გაძლიერება და გაღრმავება, მხატვართა შემოქმედების წარმართვა გარემომცველი სინამდვილის ასახვისაკენ.

1958 წელს მნიშვნელოვნად იმატა გამოფენათა რაოდენობამ და შენიშვნების რიცხვმა გამოფენების ვასპარათავად. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ გამოფენები ეწყობოდა არა მარტო დიდ ქალაქებში, არამედ რესპუბლიკის სარაიონო ცენტრებშიც. გამოფენების ზრდამ და ხშირმა მოწვევამ გააძლიერა საზოგადოებრიობის ინტერესი სახვით ხელოვნების საკითხებში, რასაც ცხადყოფს ის გარემოება, რომ ამაჟამად პოლონური ჟურნალ-გაზეთები თავიანთ ფურცლებზე დიდ დიკოსს უთმობენ მასალებს მხატვრობის საკითხებზე. დიდი წარმატებით სარგებლობს მოსახლეობაში ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების და არქიტექტურისადმი მიძღვნილი ლექცია-მოსხენებები. 1958 წელს მხატვართა გამოფენები დათვლილია 2,5 მილიონზე მეტმა კაცმა, ხოლო ერთ მილიონზე მეტმა მსმენელმა მოისმინა პოლონური სახვით ხელოვნების შესახებ წაკითხული ლექციები.

სახვითი ხელოვნებისადმი ინტერესის გაღვივებაში დიდ როლს თამაშობს გამოფენების საერთაშორისო გაცვლა-ვაშოცვლა. გასულ წელს მხატვრობის მიყვარულნი პოლონეთშივე გაეცნენ საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, ჩინეთის, ინდოეთის, ფრანკის, იტალიის, აშშ-ის, ეგვიპტის, საფრანგეთის, ინგლისის და სხვა ქვეყნების მხატვართა ნაწარმოებებს. იმავე წელს სახვით ხელოვნების პოლონელმა ოსტატებმა არა ერთჯერ გამოაფინეს თავიანთი ნაწარმოებები საზღვარგარეთ.

მაგრამ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახვით ხელოვნების განვითარებაში მოპოვებულ ამ უდიდეს მიღწევებთან ერთად უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ პოლონელ მხატვართა მნიშვნელოვანი ნაწილის შემოქმედებას ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია თავი კაპიტალისტურ ქვეყნების, განსაკუთრებით, აშშ-ის სახვით ხელოვნებაში ფეხმოკიდებულ რეაქციული მოღურთ მიმდინარეობებისა, კერძოდ, აბსტრაქტული ხელოვნების ძლიერი გავლენისაკენ. ამ ფაქტს ნათლად გვიჩვენებდა მოსკოვი სოციალისტური ქვეყნების სახვით ხელოვნების გამოფენაზე წარმოდგენილი პოლონელ მხატვართა ნამუშევრები. სინაშულით უნდა აღინიშნოს, რომ ამ მავნე მიმდინარეობის გავლენის ქვეშ არის მოყოლილი ახალგაზრდა პოლონელ მხატვართა მნიშვნელოვანი ნაწილი. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია შეუწელებელ ბრძოლას წარმოებს რეაქციულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ არა მარტო სახვით, არამედ ხელოვნების და ლიტერატურის სხვა დარგებშიც.

პოლონელ მწერალთა ერთ ნაწილში, რომელიც დღემდე მტად ზერულად იცნობს მარქსიზმს, თავი იჩინა ეკლექტიკურმა მიმდინარეობამ, რომელიც ცდილობს ერთ მთლიანობაში გააერთიანოს რევოიონიზმი ან აშკარა ბურჟუაზიული ლიბერალიზმი და არასწორად გაგებული მარქსისტული ცნებები და ტერმინოლოგია.

მწერალთა ერთ ნაწილში შემქმნელმა არაუკანასკნელმა იდეებმა ატმოსფეროში ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ თანამედროვე პოლონურმა ლიტერატურამ რამდენადმე გააღრმავა საზოგადოებრივ ფუნქციებს. მწერალთა ნაწილს ასახავს უნდობლობა პარტიის კულტურული პოლიტიკისადმი და შემარიგებლობა სოციალიზმის რეაქტიული კრიტიკის მიმართ, რომელიც ტარდება „სისტეკის თავისუფლები“, „მხატვრის შემოქმედების თავისუფლები“ დემაგოგიური ლოზუნგებით.

პარტია ქმნის პირობებს ნაწილური თავისუფალი შემოქმედებისთვის, სხვადასხვა მხატვრული მეთოდის თავისუფალი თვისისათვის. პარტიას არ სურს მიმართოს აღმინისტრაციულ ღონისძიებებს იმ მიზნით, რომ მხატვრებს და მწერლებს თავზე მოახვიოს გარკვეული მხატვრული მეთოდები. მაგრამ ამავე დროს პარტია მოითხოვს შემოქმედებითი მუშაობისაკენ ისეთ ნაწარმოებთა შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოციალისტური იდეური ხელოვნების, ისეთ ელტურის ფორმირებას, რომელიც პროვოცებს და ხალხს ემსახურება. ამიტომაც ის, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია განსაკუთრებულ მზრუნველობით ეკიდება და ყოველ მხრივ ხელს უწყობს ხელოვნების და ლიტერატურის ისეთ ნაწარმოებთა გავრცელებას, რომელნიც გამსჭვალული არიან პროგრესული სოციალისტური იდეებით.

პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიის კულტურული პოლიტიკის პრინციპები გადაჭრით უარყოფენ მავნე რევოიონისტულ თვალსაზრისს, რომელიც მოითხოვს, რომ პარტია არ ახდენდეს გავლენას კულტურის ფორმირებას და განვითარებაზე, და რომელიც ქვდაგებს „ძალათა თავისუფალ ბრძოლას“ ამ სფეროში. პარტია მოითხოვს, რომ სოციალიზმის მშენებელ ქვეყანაში მხატვრული შემოქმედება ყურადღებას ამახვილებდეს, უწინარეს ყოვლისა, პრობლემაზე რომლებიც სოციალიზმის მშენებელ ადამიანის ცხოვრებასთან არის დაკავშირებული.

მისდევნ რა პარტიის რჩევას და მიითებებს, სახალხო პოლონეთის შემოქმედი მუშაკები ეწყვიან უდიდეს მუშაობას კულტურის ისეთ ღირებულებათა შესაქმნელად, რომლებიც ხელს უწყობენ ცოდნის გაღრმავებას, ვიცებრივი პოროზონტის გაფართოებას, ჰუმანიურ გრძნობათა, კეთილშობილ ჩვევათა და ესთეტიური გემოვნების ფორმირებას.

სახალხო პოლონეთში მიმდინარე რევოიუციის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს კინოშუქლის მასობრივი გავართობა, ომამდე პოლონური სოფელი თითქმის მოკლებული იყო კინოს. ახლა სოფლის მოსახლეობის თითქმის ერთ მესამედს შესაძლებლობა აქვს ნახოს კინოსურათები სტაციონარულ და მოძრავ კინოთეატრებში. 1958 წელს კინოთეატრების საერთო რაოდენობამ მიაღწია 3098-ს, წინააღმდეგ 807-სა 1938 წელს.

